ქართული საარჩევნო სისტემა გაყალბებას არ ექვემდებარება!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№123 (9803) 2024 წლის 28 ოქტომბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი

ირაკლი კობახიძე:

გადაწყდა მშვიდობის ბედი ჩვენს ქვეყანაში —

მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის, არა მხოლოდ იმ 1 120 000 ადამიანს, რომელმაც ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, არამედ ყველა პატრიოტ მოქალაქეს

2

ფუსტი — უფალი

ვინ იყვნენ ფუსტელები, რომლებიც ჯვრებს ტანისამოსის შიგნით ატარებდნენ?!



7

მოკეტეთ, მოძალადეებო! ვაშინერს!

ხოშტარია, გვარამია, მალაშხია, ბოკუჩავა და სხვები!..

12

წიგნი იდეების მატერიალურ რესურსად ტრანსფორმაციის გზებზე

ცოტნე ჭანტურია

5

საქართველოს ვიქტორ ორბანი ეწვევა

საქართველოს 28-29 ოქტომბერს ოფიციალური ვიზიტით ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ეწვევა.

29 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრ ორბანის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება. უნგრელ კოლეგას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე უმასპინძლებს.

გაიმართება შეხვედრები პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში, რის შემდეგაც ირაკლი კობახიძე და ვიქტორ ორბანი მედიისთვის ერთობლივ განცხადებებს გააკეთებენ.

გერმანია მხარს უჭერს ეუთო/ოდირის დასკვნას...

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მხარს უჭერს ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის დასკვნას საპარლამენტო არჩევნების შესახებ და საქართველოში ყველა მხარეს მოუწოდებს, თავი შეიკავოს ძალადობისა და პოლარიზაციისგან.

„გერმანია სრულად მხარს უჭერს ეუთო/ოდირის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წინასწარ მიგნებებსა და დასკვნებს საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შესახებ. ჩვენ შეშფოთებულები ვართ დაძაბული გარემოსა და დარღვევების შესახებ მიღებული ინფორმაციების გამო, რაც საჭიროა აღმოიფხვრას“, – აღნიშნულია გერმანიის საგარეო უწყების განცხადებაში.

„გერმანია საქართველოში მოვლენების განვითარებას ყურადღებით აკვირდება და ყველა მხარეს მოუწოდებს, თავი შეიკავოს ძალადობისა და სამომავლო პოლარიზაციისგან.

ცესკოს წინასწარი შედეგების მიხედვით, პოლიტიკური სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი:

3. „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“ – 3938 (0.19 %);
4. „კოალიცია ცვლილებებისთვის“ გვარამია, მელია, გირჩი, დროა – 228821 (11.03 %);
5. „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ – 210787 (10.161 %);
6. „ევროპელი დემოკრატები“ – 7964 (0.384 %);
8. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 50555 (2.437 %);
9. „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ – 182839 (8.814 %);
10. საქართველოს ლეიბორისტული პარტია – 15162 (0.731 %);
12. „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ – 1853 (0.089 %);
16. „შეცვალე საქართველო“ – 12518 (0.603 %);
17. „საქართველო“ – 2776 (0.134 %);
20. თავისუფალი საქართველო – 4143 (0.2 %);
21. ტრიბუნა – 2487 (0.12 %);
23. „ჩვენ“ 2606 – (0.126 %);
25. „გახარია საქართველოსთვის“ – 161215 (7.771 %);
26. „მემარცხენე ალიანსი“ – 1305 (0.063 %);
27. ქართველთა ერთობა – 4503 (0.217 %);
36. „გირჩი“ – 62261 (3.001 %);
41. ქართული ოცნება – 1118796 (54.234 %).

ქართული საარჩევნო სისტემა გაყალბებას არ ექვემდებარება!

ირაკლი კობახიძე:

გადაწყდა მშვიდობის ბედი ჩვენს ქვეყანაში!

მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის, არა მხოლოდ იმ 1 120 000 ადამიანს, რომელმაც ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, არამედ ყველა პატრიოტ მოქალაქეს

„კიდევ ერთხელ ქართველ ხალხს განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადოთ გამოცხადებული ნდობისთვის და მინდა მივულოცო ყველას, არა მხოლოდ იმ 1 120 000 ადამიანს, რომელმაც ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, არამედ საქართველოს ყველა პატრიოტ მოქალაქეს გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ მშვიდობის ბედი გადაწყდა საქართველოსთვის ამ არჩევნებზე და მშვიდობით მოსარგებლე იქნება საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქე“ – განაცხადა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა და პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი კობახიძემ პარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ ბრიფინგზე კიდევ ერთხელ მშვიდობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მშვიდობის პირობებში „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის განხორციელების საფუძველზე 4 წლის თავზე საქართველო განვითარების სრულიად სხვა დონეზე იქნება.

„მშვიდობას მოაქვს განვითარება და ჩვენ უკვე დღეიდან განვაახლებთ მუშაობას, ყოველდღიურ მუშაობას იმისათვის, რომ ქვეყანას მოვუტანოთ ის წინსვლა, რაზეც იყო საუბარი ჩვენს საარჩევნო პროგრამაში. მშვიდობის პირობებში ჩვენი პროგრამის განხორციელების საფუძველზე 4 წლის თავზე საქართველო იქნება განვითარების სრულიად სხვა დონეზე. ჩვენ გვქონდა საუბარი კონკრეტულ მონაცემებზე.

ჩვენი ეკონომიკა გაიზარდა 50 მილიარდიდან ამ ოთხ წელიწადში 90 მილიარდ ლარამდე, თუმცა ჩვენ გვაქვს უფრო ამბიციური მიზნები და ვფიქრობთ, რომ 4 წელიწადში აუცილებლად გაიზრდება ჩვენი ეკონომიკა 130 მილიარდ ლარამდე. 40 მილიარდს გადააჭარბებს 4 წლის თავზე ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი.

3500 ლარს გადააჭარბებს საშუალო ხელფასი ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ მოვახერხეთ და 712 ნახევარი ლარიდან უკვე გავზარდეთ 2000 ლარამდე საშუალო ხელფასი. 3500 ლარი გახდება 4 წლის თავზე. 4%-ს ჩამოსცდება უმუშევრობა და სიღარიბე ჩვენი პროგრამის განხორციელების შემდეგ 4 წლის თავზე. დასრულდება ავტობანის პროექტები, ახალი აეროპორტი, ანაკლიის პორტი, ახალი უნივერსიტეტები, ასაშენებელი გვაქვს ასობით ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი. ამ ყველაფერზე უკვე დღეიდან განვაახლებთ მუშაობას. ამ სიკეთით ისარგებლებს, რა თქმა უნდა, საქართველოს თითოეული მოქალაქე. კიდევ ერთხელ ვიტყვი, გადაწყდა მშვიდობის ბედი ჩვენს ქვეყანაში და მშვიდობა მოიტანს უპრეცედენტო განვითარებას ჩვენი ქვეყნისთვის მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში“ – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„გამარჯვება არის ძალიან შთამბეჭდავი. ჩვენ, სხვაობა მეორე ადგილზე გასულ პარტიასთან, გვაქვს 43%. ხუთჯერ ჩამოგვრჩება მეორე ადგილზე გასული პარტია. ასევე, რაც შეეხება ოპოზიციას, მცირე მონაცემები მინდა გაგაცნოთ: წინა არჩევნებზე, 2021 წელს, რადიკალურმა ოპოზიციამ მიიღო 845,000-ზე მეტი ხმა, ახლა მხოლოდ 770,000 ხმა. ეს ნიშნავს იმას, რომ გარდა იმისა, რომ ჩვენი რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მხარდაჭერა „ქართული ოცნების“ მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამ ურთულეს პერიოდში თან, ამ ოთხი წლის განმავლობაში, შემცირდა მხარდაჭერა რადიკალური ოპოზიციის მიმართ ქართულ საზოგადოებაში. ქართველი ხალხი ძალიან კარგად ხედავს ყველაფერს. ქართველი ხალხი ხედავს იმას, თუ საით ექაჩებოდა რადიკალური ოპოზიცია ჩვენს ქვეყანას ამ ოთხი წლის განმავლობაში და შედეგიც არის სახეზე“ – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

რაც მეტად დაიმშვიდებს ოპოზიცია თავს, მათ შორის, უცხოეთის შედეგებით, მით უკეთესი, ჩვენ გვჭირდება სიმშვიდე!

...წინა არჩევნებზეც ასე იყო, იმის წინაზეც, ეს ასე ხდება ხოლმე მარტივი მიზეზის გამო, როდესაც არის ამომრჩეველი ქვეყნისგან მოშორებით, ის ინფორმაციას იღებს მხოლოდ კონკრეტული წყაროებიდან და ამ წყაროებთან დაკავშირებით გარკვეული მანიპულაციებიც არსებობს, მაგალითად, სოცმედიაში. შესაბამისად, აბსოლუტურად ლოგიკურია ის შედეგები, რაც აისახა არჩევნებზე, თუმცა ამით, ბუნებრივია, თავს ვერავინ დაიმშვიდებს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ჩვენთვის არ არის ეს საინტერესო საკითხი, მაინცდამაინც ღირებული არცერთი პარტია და არცერთი მათი წარმომადგენელი არ იქნება პარლამენტისთვის. იცით, რა პარტიებზეა საუბარი და იცით, რა სახეები ჰყავთ მათ საკუთარ პარტიებში. საუბარია როგორც „ნაცმოძრაობაზე“, ისევე მეორე „ნაცმოძრაობაზე“, ისევე მესამე „ნაცმოძრაობაზე“, ისე მეოთხე „ნაცმოძრაობაზე“. არც თავისი პარტიული შინაარსით და არც ადამიანური რესურსით არცერთი მათგანი არ არის საინტერესო საპარლამენტო მუშაობისთვის.“

„შესაბამისად, მათი გადასაწყვეტია, ჩვენ ამით ვერ დავინტერესდებით, ვერ დავკავდებით, ამაზე დროს ვერ დავხარჯავთ, მათი გადასაწყვეტია, შემოვლენ თუ არ შემოვლენ. ასეც და ისეც, პარლამენტი იქნება ლეგიტიმური, ერთ მდინარეში მეორედ ვერ შეხვალ, შესაბამისად, ისინი ვერ შეძლებენ იგივე პროცესების გამეორებას, რაც მათ განახორციელეს ამ ქვეყანაში ოთხი წლის წინ, რითაც ისინი ცდილობდნენ, დაეზიანებინათ ჩვენი ქვეყნის ინტერესები. იმავეს მეორედ ვერ გააკეთებენ. მათი გადასაწყვეტია, ვისაც უნდა შემოვიდეს, ვისაც არ უნდა, ნუ შემოვა“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მთელი რიგი ენჯეოები რადიკალურ პარტიებთან ერთად უკვე მესამედ დაუპირისპირდნენ ამ ქვეყნის კონსტიტუციურ წესწყობილებას, თუმცა, ეს არის იმედდაკარგული პოლიტიკოსების სასოწარკვეთილი მცდელობა, რომ რაღაცნაირად თავი იმართლონ საკუთარ ამომრჩეველთან!

„ჩვენ ვამბობდით, რომ ოპოზიციას არ ეყოფოდა ღირსება იმისათვის, რომ შეჰგუებოდა მორიგ მარცხს. თქვენ ხედავთ, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ისინი ვერც ერთხელ ვერ ახერხებენ არჩევნების შედეგების აღიარებას, მარცხის ღირსეულად მიღებას, მათ მეცხრედ განიცადეს უკვე მარცხი ამ არჩევნებში“ – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, პრემიერმა ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც არჩევნების შედეგები შეაჯამა.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, ოპოზიცია ატყუებდა საკუთარ ამომრჩეველს არჩევნების მოგებასთან დაკავშირებით. მიუღებელია ნებისმიერი მცდელობა, დაუპირისპირდე კონსტიტუციურ წყობილებას და ეს არის იმედდაკარგული პოლიტიკოსების სასოწარკვეთილი მცდელობა, რომ რაღაცნაირად თავი იმართლონ საკუთარ ამომრჩეველთან. „ისინი კიდევ ერთხელ ატყუებდნენ საკუთარ ამომრჩეველს, რომ იგებდნენ ამ არჩევნებს, თუმცა, ახლა კიდევ ერთხელ არ გაუჭირდებათ ალბათ, თვალებში ჩახედონ საკუთარ ამომრჩეველს და აღიარონ, რომ ატყუებდნენ მათ წინასაარჩევნო პერიოდში. ჩვენ არასდროს ვატყუებთ ამომრჩეველს. ჩვენ ვამბობდით, თუ როგორი დამაჯერებელი იქნებოდა ჩვენი გამარჯვება და შედეგიც არის სახეზე. რაც შეეხება მათ პოზიციას, კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მიუღებელია ნებისმიერი მცდელობა, დაუპირისპირდე კონსტიტუციურ წყობილებას და კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ შემთხვევაშიც მთელი რიგი ენჯეოები პოლიტიკურ, რადიკალურ პარტიებთან ერთად ოთხ წელიწადში უკვე მესამედ კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ ამ ქვეყნის კონსტიტუციურ წესწყობილებას, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არის აბსოლუტურად უსუსური მცდელობა, ეს არის იმედდაკარგული პოლიტიკოსების სასოწარკვეთილი მცდელობა, რომ რაღაცნაირად თავი იმართლონ საკუთარ ამომრჩეველთან.“ – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

შალვა პაპუაშვილი:

ჩვენ გავიმარჯვეთ და ჩვენთან ერთად გაიმარჯვა საქართველომ!

„როგორც ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის ყოველ გადამწყვეტ მომენტში, 23 ოქტომბერს, ჩვენ შევიკრიბეთ, რათა ერთმანეთისთვის ბოლო საბრძოლო ყიჟინა შემოგვეძახა,“ – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი წერს და მადლობას უხდის ამომრჩევლებს ნდობისთვის.

,,როგორც ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის ყოველ გადამწყვეტ მომენტში, 23 ოქტომბერს, ჩვენ შევიკრიბეთ, რათა ერთმანეთისთვის ბოლო საბრძოლო ყიჟინა შემოგვეძახა.

ჩვენ გავიმარჯვეთ და ჩვენთან ერთად გაიმარჯვა საქართველომ!

მადლობა ნდობისთვის!“ – წერს პარლამენტის თავმჯდომარე.

ეუთო/ოდირის მოჩვენებანი!

ირაკლი კობახიძე:

ამ პრესკონფერენციამ ცხადყო, რომ არავითარი ეჭვები და კითხვის ნიშნები არჩევნების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით არ არსებობს!

„თქვენ ალბათ თვალყურს ადევნებდით პრესკონფერენციას, რომელიც გაიმართა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ხელმძღვანელების მონაწილეობით და ამ პრესკონფერენციამ ცხადყო, რომ არავითარი ეჭვები და კითხვის ნიშნები არჩევნების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით არ არსებობს. პირიქით, ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ეს იყო კონკურენტული არჩევნები და მთლიანობაში, რა თქმა უნდა, ეს საერთო შეფასება ასახავს იმ სურათს, რომელიც არის.

არჩევნები იყო კონკურენტული, არჩევნები იყო ყველა თვალსაზრისით შესაბამისობაში საარჩევნო პრინციპებთან და ეს ყველაფერი არის აბსოლუტურად ლოგიკური, ის განცხადებები, რაც გაკეთდა. გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ ტერმინებს იყენებდნენ მომხსენებლები ამ არჩევნების შეფასებისას და პროცესების შეფასებისას. ისინი საუბრობდნენ არჩეულ ხელისუფლებაზე, ვციტირებ: **გუშინ არჩეულ ხელისუფლებაზე,** რაც პირდაპირ ნიშნავს, ბუნებრივია, მთლიანობაში არჩევნების სრულად ლეგიტიმურად აღიარებას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და მე მადლობა მინდა გადავუხადო ყველა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას მათი ჩართულობისთვის. თქვენ იცით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ თებერვლიდან დავიწყეთ საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევა საქართველოში. ჩვენ ვიყავით აბსოლუტურად ღია დაკვირვებისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვქონდა ერთადერთი სურვილი, ჩაგვეტარებინა აბსოლუტურად თავისუფალი, კონკურენტული, დემოკრატიული არჩევნები და სწორედ ამას ეფუძნებოდა ჩვენი ღიაობა.

კიდევ ერთხელ მე მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც იყო ჩართული საარჩევნო პროცესებში, ვინც აკვირდებოდა არჩევნებს. არჩევნები არის შემდგარი. უახლოეს მომავალში უკვე შეჯამდება ცესკოს მიერ არჩევნების შედეგები, ჩაინიშნება პარლამენტის პირველი სხდომა და გაგრძელდება ჩვენი ქვეყნის სტაბილური განვითარება, რაც არის მთავარი ინტერესი თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის“.

გიორგი გახარია:

ეუთო/ოდირი ვერასდროს მიკარნახებს, მე როგორ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მივიღებ

ეუთო/ოდირმა რანაირი დასკვნაც არ უნდა დადოს, საქართველოს მოქალაქეებმა დღეს დილით რომ გაიღვიძეს და ციფრები ნახეს, მათ უკვე ჩათვალეს, რომ „ოცნებამ“ და ივანიშვილმა ისინი მოატყუა, ეს აღქმები უკვე დალექილია და ამას ვერავინ და ვერაფერი შეცვლის! – განაცხადა „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ.

გიორგი გახარია თვლის, რომ აღქმები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეუთო/ოდირის დასკვნა. ასევე, გახარიას თქმით, ეუთო/ოდირი ვერასდროს უკარნახებს, თავად როგორი პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

„ათი ეუთო/ოდირი რომ გამოვიდეს და თქვას, რომ იდეალური არჩევნები იყო ჩატარებული, სამწუხაროდ, ეს ლაქა და კიდევ ერთი მძიმე ტვირთი „ოცნებამ“ და პერსონალურად ივანიშვილმა აიკიდეს. მე ვთვლი, რომ როდესაც შენ შენს მოქალაქეებს ელაპარაკები და შენს მოქალაქეებთან კომუნიცირებ, ეს აღქმები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეუთო/ოდირის დასკვნა, მერწმუნეთ, ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ. ეუთო/ოდირი სერიოზული ორგანიზაციაა, სერიოზული მანდატით, სერიოზული მისიით, მაგრამ საბოლოო ჯამში პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მე როგორ მივიღებ, ეუთო/ოდირი მე ვერ მიკარნახებს ვერასდროს იმიტომ, რომ ეს ჩემი პასუხისმგებლობაა ჩემი ამომრჩევლის და მოქალაქეების წინაშე“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი:

მადლობა საქართველოს ხელისუფლებას და ქართველ ხალხს!

მადლობა საქართველოს ხელისუფლებას და ქართველ ხალხს, რადგან მათ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწიეს ჩვენს დელეგაციას, – განაცხადა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა ფაიკ ოზთრაქმა.

როგორც ოზთრაქმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ ნატოს საპარლამენტო ასამბლეა მხარს უჭერს ქართველ ხალხს. მან ასევე ხაზი გაუსვა საქართველოსა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პარტნიორობის მნიშვნელობას, რომელიც 25 წლის წინ დაიწყო.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა ისაუბრა აგრეთვე დემოკრატიული რეფორმების მნიშვნელობაზე.

ეუთოს კოორდინატორი პასკალ ალიზარდი:

გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ გუშინ არჩეული ხელმძღვანელობა ეფექტურად გაუმკლავდება გამოწვევებს...

მინდა, გულწრფელი იმედი გამოვხატო, რომ გუშინ არჩეული ხელმძღვანელობა ეფექტურად გაუმკლავდება ძირითად გამოწვევებს, რომლებიც ამ ქვეყნის წინაშე დგას და იმედი გვაქვს, რომ საქართველოს უფრო ახლოს მიიყვანენ იმ მიზნებთან, რაც უკავშირდება ევროკავშირში გაწევრებას, – ამის შესახებ ეუთოს სპეციალურმა კოორდინატორმა პასკალ ალიზარდმა გუშინ განაცხადა.

მისივე თქმით, მადლობას უხდის საქართველოს ხელისუფლებას თანამშრომლობისთვის ამ მისიის განმავლობაში.

„გულთბილი მადლობა მინდა გადავუხადო ქართველ ხალხს, რომლებიც ასე გულთბილად დაგვხვდნენ და გულთბილად მიგვიღეს კენჭისყრის დღეს“, – განაცხადა პასკალ ალიზარდმა.

პია კაუმა:

მნიშვნელოვანია, რა ნაბიჯებს გადადგამს ახალი მთავრობა ევროკავშირის მიმართულებით!

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს პია კაუმას კითხვა დაუსვეს, დაეხმარებოდა თუ დააბრკოლებდა არჩევნებზე მათი შეფასებები საქართველოს ევროპულ ტრაექტორიაზე დაბრუნებას. კაუმამ საპასუხოდ აღნიშნა, რომ ეს დიდწილად დამოკიდებული იქნება ახალი მთავრობის მიერ ევროკავშირის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე.

„ძალიან ნაადრევია ამაზე საერთოდ რამის თქმა. ეს დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება არჩევნების შემდეგ, რა სახის მთავრობა იქნება და რა ნაბიჯებს გადადგამს ახალი მთავრობა ევროკავშირის მიმართულებით. ისიც იცით, რომ კონსტიტუციაშია ეს გაცხადებული და ეს არის ამ ხალხის მიზანი“, – განაცხადა კაუმამ.

პია კაუმამ ასევე აღნიშნა, რომ ყურადღებით აკვირდებოდა საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას, როგორც უბნების გახსნას, ასევე ხმების დათვლის პროცესს.

„ჩემთვის პატივი იყო ხელმძღვანელობა იმ გუნდისა, რომელიც შედგებოდა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 60 წარმომადგენლისგან 22 სხვადასხვა ქვეყნიდან. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ჩვენს გუნდს საკმაოდ კარგად დახვდნენ მთელ ქვეყანაში, არა მარტო თბილისში, არამედ თელავში, სიღნაღში, გორში, ბორჯომში, ბოლნისში, ახალციხესა და ბათუმში. პირადად მე მქონდა პატივი, რომ დავკვირვებოდი არჩევნების პროცესს თბილისში და ასევე, ვნახე, თუ როგორ იყვნენ ჩართულნი მოქალაქეები. მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველას სტუმართმოყვარეობისთვის, რაც გამოიჩინეს ჩვენი დამკვირვებლების მიმართ. ჩვენ ძალიან ყურადღებით ვაკვირდებოდით ყველა ნაბიჯს კენჭისყრის დღის განმავლობაში, რაც გულისხმობდა უბნების გახსნას, ასევე ხმების დათვლას. ჩვენი მისიის დამკვირვებლები იყვნენ წარმოდგენილი უბნების ნახევარზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელი, ანტონიო ლოპეზი:

აქ არ ვართ იმის სათქმელად, ეს არჩევნები მოიპარეს, თუ არა, აქ ვართ, რათა გაგაცნოთ ჩვენი დაკვირვების შედეგები

ჩემი კოლეგები და მე აქ არ ვართ იმის სათქმელად, ეს არჩევნები მოიპარეს თუ არა. ჩვენ აქ ვართ, რათა გაგაცნოთ ჩვენი დაკვირვების შედეგები, – ამის შესახებ ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა ანტონიო ლოპეზმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე დასმული შეკითხვის პასუხად განაცხადა.

„ჩვენ ვაკვირდებოდით ამ პროცესს და დაკვირვების შედეგები არჩევნებამდეც გამოვაქვეყნეთ. ჩვენ შეგვიძლია ასევე გამოვაქვეყნოთ ინფორმაცია არჩევნების შემდგომ პერიოდში, მაგრამ აქ არ ვართ იმისთვის, რომ ვთქვათ, როგორი იყო ეს არჩევნები, რადგან ეს ჩვენს სამუშაო აღწერილობაში არ შედის“, – აღნიშნა ანტონიო ლოპეზმა.

ENEMO-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ზლატკო ვუიოვიჩი:

უბნების 5% იყო ნეგატიურად შეფასებული, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ გეტყვით, რა გავლენა ჰქონდა საბოლოო შედეგებზე, ჩვენ ამას არ ვაფასებთ

2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნები გაიმართა პოლარიზებულ გარემოში, რომელიც არ ითვალისწინებდა თანასწორობას, გამჭვირვალობასა და ჩართულობას, – ამის

იხ. მე-4 გვ.

მესამე გვერდიდან

შესახებ ENEMO-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ზლატკო ვუიოვიჩმა განაცხადა.

მისი თქმით, ჯამურმა დარღვევებმა საგრძნობი ზეგავლენა იქონია საარჩევნო პროცესის დემოკრატიულ ხასიათზე.

„ჩვენ ახლა გაგაცნობთ ძირითად გზავნილებს და ჩემი კოლეგები მოგვიანებით აგრეთვე გაგაცნობენ ძირითად ნაწილებს, წინასწარ დასკვნებს შეაჯამებენ. 20-29 გვერდი არის სრული ანგარიში, რა თქმა უნდა, სრულად ვერ დავფარავთ მას, მაგრამ წინასწარ გვსურს, რაღაც ინფორმაცია მოგაწოდოთ ამის შესახებ. ეს არის შეჯამება, რათა მარტივად გაიგოთ ძირითადი მიგნებები, რომლებიც ჩვენ გვაქვს. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები პოლარიზებულ გარემოში გაიმართა, რომელიც არ ითვალისწინებდა თანასწორობას, გამჭვირვალობასა და ჩართულობას. დაფიქსირდა ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ გამოხატული ძალადობის ფაქტები, აგრეთვე, ადმინისტრაციული რესურსების არაჯეროვანი გამოყენება და კამპანიის რეგულაციები არ იქნა ჯეროვნად შესრულებული. სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ჟურნალისტებზე განხორციელდა ზეწოლა. იმისდა მიუხედავად, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია პროფესიონალურად და ეფექტურად უძღვებოდა პროცესს, ENEMO მაინც წუხს ცესკო-ს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება კითხვას, „კონკრეტულად გუშინ იყო თუ არა დაფიქსირებული საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან ისეთი დარღვევები, რასაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგზე?“ – ზლატკო ვუიოვიჩმა აღნიშნა, რომ უბნების 5% იყო ნეგატიურად შეფასებული, თუმცა ამ ეტაპზე ვერ ისაუბრებს, ამ დარღვევებს რა ზეგავლენა ჰქონდა უშუალოდ შედეგებზე.

„ძალიან რთულია ჩვენთვის, აღვნიშნოთ, რა არის დიდი დარღვევები, ვინაიდან ჩვენ არ ვაფასებთ, შედეგებს და დარღვევებს რა ზეგავლენა შესაძლოა ჰქონდეს შედეგებზე.

ეუთო/ოდირის დამკვირვებელი ოუენ მერფი:

...განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ცესკოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს“!

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელმა ოუენ მერფმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობისთვის, რათა მათი მისია სრულყოფილად განეხორციელებინათ.

მან ასევე მადლობა გადაუხადა სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებსა და ქართველ ამომრჩეველს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი სადამკვირვებლო მისიის წევრებს. განსაკუთრებით, დიდი მადლობა საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, ასევე ადგილობრივ სადამკვირვებლო მისიებს, ქართველებისგან დაკომპლექტებულს, თანამშრომლობისთვის.

განსაკუთრებით, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ცესკოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი მეთოდოლოგიისა და მანდატის განხორციელებისთვის. ასევე დიდ მადლობა ყველა თარჯიმანს, რომელიც დახმარებას გვიწევდა დღეს, – განაცხადა ეუთო/ოდირის დამკვირვებელმა ოუენ მერფმა.

ოლტა ქეივანი:

საარჩევნო პროცედურები ძალიან მშვიდ გარემოში, გამართულად მიმდინარეობდა

ალგანეთის საარჩევნო სისტემის განვითარების ინსტიტუტის” წარმომადგენლის ოლტა ქეივანის განცხადებით, საარჩევნო პროცედურები ძალიან მშვიდ გარემოში, გამართულად მიმდინარეობდა.

მისი განმარტებით, უბნებზე, კომისიის წევრები ძალიან კარგად ართმევდნენ თავს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და პროცესი ეფექტურად წარმართეს.

„მინდა, არჩევნების დღესთან დაკავშირებით წინასწარი დასკვნის შედეგები შევაჯამო. თბილისის მასშტაბით, დიდ და მცირე საარჩევნო უბნებს დავაკვირდით. ჩვენი სადამკვირვებლო მისიის სამუშაო დაეყრდნო ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცედურები ძალიან მშვიდ გარემოში, გამართულად მიმდინარეობდა. უბნებზე კომისიის წევრები ძალიან კარგად ართმევდნენ თავს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს. საარჩევნო პროცესი ეფექტურად და მართებულად წარმართეს“, – განაცხადა ოლტა ქეივანმა.

ვასილ მაღლაფერიძე:

საქართველოში ჩატარდა არჩევნები, რომელიც სამაგალითოა მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის

„პირველი არხის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე სოციალურ ქსელში 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ეხმიანება და აღნიშნავს, რომ საქართველოში ჩატარდა არჩევნები, რომელიც სამაგალითოა მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის და საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი არიან, კონსტიტუციის ფარგლებში დარჩნენ და პატივი სცენ ერთმანეთის არჩევანს.

როგორც მან აღნიშნა, არჩევნების შედეგების არცნობა ან არცნობისკენ მოწოდება-წაქეზება, საიდანაც და ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, ნიშნავს კონსტიტუციის ფარგლებიდან გასვლას და სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებას და თუ ასეთი მოხდება, შესაბამისმა ორგანოებმა მეყსეულად უნდა მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები.

„1. საქართველოში ჩატარდა არჩევნები, რომელიც სამაგალითოა მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის.

2. მიუხედავად ქვეყნის გარედან და შიგნიდან წინასწარ გამოთქმული ძალიან არაკორექტული ვარაუდებისა, საქართველომ აჩვენა, რომ აქვს მყარი საარჩევნო სისტემა, რომელიც გაყალბებას არ ექვემდებარება.

3. საერთაშორისო დამკვირვებლები აცხადებდნენ, რომ არჩევნები მიმდინარეობდა მშვიდ და სამართლიან გარემოში.

4. პარლამენტის შედეგები გამოაცხადა საქართველოს ცესკომ, ერთადერთმა ორგანომ, ვისაც ამისი უფლება აქვს.

5. არჩევნების შედეგები სავალდებულო ფაქტად უნდა მიიღოს ყველამ როგორც შიგნით, ისე – გარეთ, ვინც საქართველოს კონსტიტუციას ცნობს და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებს.

6. ვინც ამ შედეგებს არ ეთანხმება, შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში და მხოლოდ სასამართლოში.

7. საქართველოს მოსახლეობამ, კონსტიტუციაზე დაყრდნობით, გამოხატა თავისი ნება და არჩევნების მეშვეობით პარლამენტში შეიყვანა ხუთი პოლიტიკური პარტია, რომლებიც, ასევე, კონსტიტუციიდან გამომდინარე არიან შექმნილები. ქვეყანა გადავიდა პროცედურული დემოკრატიის ფაზაში.

8. არჩევნების შედეგების არცნობა ან არცნობისკენ მოწოდება-წაქეზება, საიდანაც და ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, ნიშნავს კონსტიტუციის ფარგლებიდან გასვლას და სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებას და თუ ასეთი მოხდება, შესაბამისმა ორგანოებმა მეყსეულად უნდა მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები.

9. საქართველოში ჩატარდა არჩევნები და საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი ვართ, კონსტიტუციის ფარგლებში დავრჩეთ და პატივი ვცეთ ერთმანეთის არჩევანს“!

რამდენი მილიონი ლარის დაფინანსებას მიიღებენ პოლიტიკური პარტიები საპარლამენტო არჩევნების შემდეგ?!

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მომდევნო 4 წლის განმავლობაში ქვეყნის მმართველობის განსაზღვრასთან ერთად კიდევ ერთი რამ – პოლიტიკური პარტიებისა და მათი შემადგენელი სუბიექტების სახელმწიფო დაფინანსების საკითხი იყო დამოკიდებული.

საქმე ისაა, რომ პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურ შემოწირულობებთან ერთად სახელმწიფოსგან გარანტირებულ საბიუჯეტო დაფინანსებასაც იღებენ, რაც საპარლამენტო არჩევნებზე მათ შედეგებზე არის მიბმული, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება გადახედვას ყოველ 4 წელში, საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე ექვემდებარება. ამ მიზნისთვის ცესკო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების საფუძველზე ყოველწლიურად 12,742,941 ლარის დაფინანსებას გასცემს.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პარტიების დაფინანსების ფორმულა შემდეგია:

საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს ის პარტია, რომელმაც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო. დაფინანსება განისაზღვრება პარლამენტის არჩევნებში პირველი 50,000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის 15 ლარის, ხოლო თითოეული შემდგომი მიღებული ნამდვილი ხმისთვის – 5 ლარის ოდენობით.

იქიდან გამომდინარე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ხმათა 48%, სწორედ ის იღებს ყველაზე დიდ დაფინანსებას, რაც ყოველწლიურად 5,140,020 ლარით განისაზღვრება.

შესაბამისად, თუკი რომელიმე პარტიამ 26 ოქტომბრის არჩევნებში მიიღო, მაგალითად, 700,000 ხმა, მისი დაფინანსება იქნება 15 ლარის ოდენობით პირველ 50,000 ხმაზე, ხოლო 5 ლარის ოდენობით დანარჩენ 650,000 ხმაზე. ეს ჯამში, წლიურად, 4 მილიონი ლარის დაფინანსებას ნიშნავს. ანალოგიურად, პარტია რომელიც 300,000 ხმას მიიღებს შემდგომი 4 წლის განმავლობაში წლიურად 2 მილიონი ლარის დაფინანსებას მიიღებს.

ზოთა ტყეშელაშვილი

მთავრობა უმუშევრობას და სიღარიბეს თითქმის გაანულებს?!

ახლა საქართველოში უმუშევრობა ისტორიულ მინიმუმზეა. მართალია, ბოლო წლებში ამ მხრივ არსებული სტატისტიკა დადებითად გამოიყურება და შედეგი სულ უფრო უკეთესია, თუმცა უმუშევრობის დონე მაინც მაღალია. შესაბამისად, მთავრობა უკვე გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, რაც მიზნად ისახავს არსებული მაჩვენებლის 2/3-ით შემცირებას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, ოთხ წელიწადში უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე დავა და 4% იქნება. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მეორე კვრტალის მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელი 13,7%-ია.

„ოთხ წელიწადში უმუშევრობის დონე დამოუკიდებლობის პერიოდში ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე დავა და 4% იქნება, რაც უფრო დაბალია, ვიდრე დღეს ევროკავშირში უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელია (6%).

ამით უმუშევრობა ჩვენთან უფრო დაბალი იქნება, ვიდრე დღეს ევროკავშირის 21 წევრ ქვეყანას აქვს.

4%-ზე დაბალი უმუშევრობის მაჩვენებელი ევროკავშირში მხოლოდ ნიდერლანდებს, გერმანიას, მალტას, სლოვენიას, პოლონეთს და ჩეხეთს აქვს, საიდანაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (2,7%) ჩეხეთშია“, – დაწერა სოციალურ ქსელში პაპუაშვილმა.

ძალიან ამბიციურ და ცოტა საეჭვო გეგმას სრულად იზიარებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძეც. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, შემცირდება სიღარიბე და 2028 წლისთვის მაქსიმუმ 150 ათასი იქნება სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ადამიანების რაოდენობა.

„გვაქვს ძალიან ამბიციური გეგმა, 200 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც 4-პროცენტიან ნიშნულს ჩამოსცდება უმუშევრობა ჩვენს ქვეყანაში და ამისთვისაც კონკრეტული გეგმა არსებობს. სიღარიბეს რაც შეეხება, 1 მილიონ 120 ათასი ადამიანი ცხოვრობდა საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა 2012 წელს, ეს მაჩვენებელი უკვე შემცირებულია 440 ათასამდე. ჩვენი გეგმის მიხედვით, მაქსიმუმ 150 ათასი იქნება სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ადამიანების რაოდენობა 2028 წლისთვის.

ჩვენი ამოცანაა, რომ კიდევ უფრო მეტად გავზარდოთ ეს ტემპი. ჩვენ ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებდით იმ პროგნოზს, რომელსაც წარადგენდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. აქაც დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ეკონომიკური ზრდა იქნება იმაზე მაღალიც კი, ვიდრე ეს არის პროგნოზირებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. ჩვენ გვაქვს ამისათვის გაწერილი კარგად გააზრებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც 2028 წლისთვის 130 მილიარდს გადააჭარბებს ქვეყნის ეკონომიკა. ამისთვის არის გათვალისწინებული კონკრეტული პროგრამები, კონკრეტული პროექტები და დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიზანს ჩვენ წარმატებით შევასრულებთ“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თეორიულად შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა, მაგრამ პრაქტიკულად ეს ძალიან ძნელი განსახორციელებელი იქნება, მით უფრო არსებული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში. როგორც აფგას ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ბაირახტარმა აღნიშნა, დღეს არსებული მიდგომით და სხვადასხვა სოციალური პაკეტებით სიღარიბის დამარცხება შეუძლებელია.

გეძა დანელია

წიგნი იდეების მატერიალურ რესურსად ტრანსფორმაციის გზებზე

გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის თეიმურაზ ბერიძის სამეცნიერო სტატიების კრებული სახელწოდებით „ეკონომიკური კვლევების ანთოლოგია“.

კრებულში შესულია ავტორის მიერ ბოლო წლებში საქართველოსა და უცხოეთში ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც ეძღვნება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის წინააღმდეგობრივ ხასიათს, მის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს და ეფექტიანობას, იმ რეფორმების მიმდინარეობას, რომლებმაც უზრუნველყვეს საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და მისი შეუქცევადობის უზრუნველყოფა, ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია. კრებულში გაანალიზებულია ეკონომიკურ ზრდაში სახელმწიფო ინსტიტუტების როლი და მნიშვნელობა, გლობალიზაციის პროცესში ეროვნული ეკონომიკური მოდელის ორგანული ჩართულობის მასშტაბი. განსაკუთრებით რელიეფურადაა წარმოჩენილი ამ პროცესში მიღწეული წარმატებები (მთლიანი სამამულო პროდუქტის დინამიკა, ინფლაციის დონე, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების თანაფარდობა ქვეყნის სამამულო პროდუქტთან და სხვა), განხორციელებულია ბოლო ათწლეულებში საქართველოს ეკონომიკის დინამიზმის ძირითადი ასპექტების, კანონზომიერებისა თუ თავისებურებების შეფასება და თეორიული განზოგადება. ყოველივე ეს, გაჯერებული მდიდარი სტატისტიკური მასალით, მსჯელობით ეკონომიკის გარდამავალი პერიოდის თაობაზე, მის ხანგრძლივობაზე, დამახასიათებელ ნიშნებსა და თავისებურებებზე, აღნიშნულ კრებულს განსაკუთრებით საინტერესოს და გამოყენებადს ხდის როგორც აკადემიური წრეების წარმომადგენლებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისთვისაც, ვისთვისაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა უკავშირდება პროფესიულ, კომერციულ თუ საინვესტიციო ინტერესებს.

თეიმურაზ ბერიძის სტატიების ეს კრებული არ მიეკუთვნება ისეთ პუბლიკაციათა კატეგორიას, რომელიც შეიძლება ერთხელ წაიკითხო და მერე გვერდზე გადადო. წერის და აზრის გადმოცემის სიმარტივის, ადვილად გასაგები ენის მიუხედავად, ის გაფიქრებს, ვიფიქრებს, შენც ავტორთან ერთად ჩასწვდე დასმულ პრობლემათა სიღრმეს, დაინახო მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და გაგიჩნდეს მათი ავტორისეული გადაჭრის შემოთავაზებული გზებისადმი თანამონაწილეობის სურვილი. ამ ასპექტით, არ შეიძლება არ დაეთანხმო აღიარებულ მეცნიერს, რომ ეროვნული ეკონომიკური მოდელი გლობალიზაციის პირობებში უნდა იყოს: **დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, ითვალისწინებდეს მსოფლიო ბაზრის პირობებს, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ კავშირებს, აგრეთვე, არაეკონომიკურ ფაქტორებს (ტრადიცია, რელიგია, კულტურა, მენტალიტეტი და ა.შ.). (გვ. 181).**

ავტორი, თავის კოლეგებთან ერთად, კარლ მარქსის ეკონომიკური მოძღვრების მიმართ ყურადღების გაძლიერებას, მის მაღალ შემეცნებით-ანალიტიკურ პოტენციალს, პირდაპირ უკავშირებს გლობალურ ფინანსურ კრიზისს. ეს თვალნათლივ გამოჩნდა იმაშიც, რომ 2009 წლის ინტერნეტქსელით გაყიდულ წიგნებს შორის მარქსის ძირითადი ეკონომიკური ნაშრომი „კაპიტალი“ პირველ ადგილზე გავიდა (გვ. 12). აღნიშნულ ვითარებას კი განაპირობებს ის, რომ **„პრობლემები, რომელთა შესახებაც კ. მარქსი წერდა... არსად გამქრალა, შეიცვალა მათი გამოვლენის ფორმა... იგი გაცილებით უფრო შენიღბული და დახვეწილი გახდა“.** (იქვე). ავლენს რა პარალელს კრიზისების შესახებ მარქსისტულ შეხედულებებსა და თანამედროვე ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისებს შორის, ავტორს მოტანილი აქვს კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებზეც გადის ფინანსურ კრიზისებად ტრანსფორმირებული საქონლის ჭარბწარმოების კრიზისების (რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება უძრავი ქონების სპეკულაციურ ოპერაციებში) დაძლევის გზები.

მდიდარი სტატისტიკური მასალების ანალიზისა და გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობრივი ხასიათის რელიეფური წარმოჩენის (კომპლექსურობა, შინაარსობრივი და რაოდენობრივი მხარეები, სტრუქტურა, საბოლოო შედეგები...), მათ შორის უმუშევრობის, სიღარიბის, მოსახლეობის შემოსავლების, განათლების და ა.შ. დონეების დინამიკის წარმოჩენისა და შეფასების ფონზე, ავტორი გვიხასიათებს აღნიშნული პროცესის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს და ამ დროს დაშვებული შეცდომების გამო ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს. ავტორის დასკვნების ფორმირებასა და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების განზოგადებას ამყარებს ის პრაქტიკული გამოცდილებაც, რომელიც მას დაუგროვდა ხანგრძლივი დროის მანძილზე სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის ხელმძღვანელად მუშაობისას.

რეფორმამდელი ეკონომიკის დახასიათებისას (გვ.34-39), მეცნიერის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა არა მარტო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამდელი წინა ორი ათწლეული, არამედ იმ პერიოდში განხორციელებული რეფორმები, რომლებიც, მიუხედავად მათი ორგანიზატორების მცდელობისა, მხოლოდ ლოკალური და მცირე მასშტაბის ეფექტიანობის მომტანნი იყვნენ, ვერ უზრუნველყოფდნენ სისტემურ ცვლილებებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავადაა დახასიათებული ქართული ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „შოკური თერაპიის“, აგრეთვე ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ ტალღაზე მოსული ავტორიტარული ხელისუფლების განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების მთელი „ბრწყინვალეება და სიღატაკე“ (გვ. 41-52). ავტორი მიღწეული შედეგების და დაშვებული შეცდომების ზოგად დეკლარირებას კი არ ახდენს, არამედ კონკრეტულად ასახელებს შესაბამის შედეგებს, ხაზს უსვამს იმ საფრთხეებსაც, რომლებთანაც შეიძლება მიგვიყვანოს არასწორად და არათანმიმდევრულად განხორციელებულმა რეფორმებმა. ამ ასპექტით, თეიმურაზ ბერიძის ნაშრომი ფაქტობრივად „ნავიგატორის“ როლსაც კი ასრულებს პირველ რიგში მათთვის, ვინც უშუალოდაა დაკავებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებითა და წარმართვით.

ავტორი ერთმნიშვნელოვნად ავითარებს თეზისს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობის შესახებ ეროვნული მეურნეობის საბაზრო რელსებზე ტრანზიტისათვის აუცილებელი რეფორმების წარმატებით განხორციელებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. ამავე დროს, იგი განასხვავებს ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას. მოჰყავს რა თითოეული მათგანის მიხედვით დამახასიათებელი ინდიკატორები, ავტორი ხაზს უსვამს, რომ **„ეკონომიკური ზრდა ფასდება მთლიანი სამამულო პროდუქტის (მათ შორის მოსახლეობის ერთ სულზე) რეალური გამოშვების მაჩვენებლით, ხოლო ეკონომიკური განვითარება გევრად უფრო ფართოა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. ის აჩვენებს, თუ რა ეფექტი მოაქვს ეკონომიკურ ზრდას უშუალოდ მოსახლეობისათვის, როგორ იზრდება ქვეყანაში ცხოვრების დონე..“** (გვ. 156-157).

ნაშრომი, მართალია, ეკონომიკური დატვირთვისაა, თუმცა ეკონომიკური პრობლემების თეორიული და პრაქტიკული საკითხებით დაკავებულ მკითხველთა გარდა ის უაღრესად საინტერესოა სხვა, „მომიჯნავე“ სპეციალობების წარმომადგენლებისთვისაც. კერძოდ, საკუთრების ეკონომიკური და იურიდიული საკითხები აღნიშნულ პუბლიკაციაში გადმოცემულია, როგორც მედლის ორი მხარე და მათი ორგანული ერთიანობა, ეკონომიკური პროცესების დროს დაშვებული შეცდომების ფასი – ის ზარალი, ფაქტობრივი სასჯელი, რასაც ზღვევს ასეთი შეცდომების დამშვები პირი თუ საზოგადოება.

ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენენ. ამ დროს მნიშვნელოვანია არა მარტო უცხოელ ინვესტორთა სურვილი, საკუთარი კაპიტალი დააბანდონ ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ ინვესტიციების მიმღები ქვეყნის შესაბამისი მზაობა, საგადასახადო და საინვესტიციო კლიმატი. ამ ორი ფაქტორის თანხვედრა დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის **ინვესტიციატევადობას.** ავტორი ცივი გონებით და ობიექტურად აფასებს ინვესტიციების გამოყენებით ღირებულებას და ხაზს უსვამს, რომ **„ქვეყნის ეკონომიკაში გადაჭარბებულმა ინვესტიციებმა შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური გადახურება, ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოებასა და ეკონომიკაში კორუფციის გაჩენას, რაც შეანელებს მის ეკონომიკურ ზრდას“** (გვ. 184, 207-208 და სხვ.).

„ეკონომიკური კვლევების ანთოლოგია“ ფაქტობრივად წარმოადგენს მაკროეკონომიკურ სარკეს, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობის ობიექტურ სურათს, თუმცა ის ამ „სარკეზე“ გაცილებით მეტია, რადგან შეიცავს მკაფიო რეკომენდაციებს წინსვლისა და ეკონომიკის ცალკეულ უბნებზე ჩამორჩენის დაძლევისთვის აუცილებელ ღონისძიებებზე. მეცნიერების საზოგადოებრივი და სოციალური ფუნქცია ზოგადად ხომ პრობლემების კომპლექსური ხედვა, შესაბამის სფეროში მიმდინარე პროცესებისა თუ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და წინააღმდეგობებისა და კოლიზიების მოხსნის გეგმების შემოთავაზებაა. ამ ასპექტით, განსაკუთრებით ფასეულია არაერთი დიდი მოაზროვნის მიერ გაზიარებული ხატოვანი ნათქვამი, რომ **„იდეები მატერიალურ ძალად გადაიქცევიან, როდესაც ისინი ხალხთა მასებს დაეუფლებიან“.** ჭეშმარიტად, სისტემური ცოდნის, იდეების მატერიალურ რესურსად გარდაქმნის რესურსის, პოტენციალის გასაღები მეცნიერთა ხელშია, რაშიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს პროფესორ თეიმურაზ ბერიძის ეს ღრმაშინაარსიანი და მაღალი გამოყენებითი ღირებულების ნაშრომი.

იოსებ არჩვაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი
(2024 წლის 14 ოქტომბერი)

აფხაზური ენის დღე

შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აფხაზური ენის დღეს ულოცავს სრულიად საქართველოს!

„აფხაზური ენა, როგორც საქართველოს მრავალფეროვანი კულტურისა და ერთიანი უნიკალური ენობრივი საგანძურის განუყოფელი ნაწილი და ფასეულობა, აფხაზურ საზოგადოებასთან ჩვენი ერთიანობის სიმბოლო და უმნიშვნელოვანესი დამაკავშირებელი რგოლია. წლების განმავლობაში აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე უკანონო ოკუპაციისა და რუსიფიკაციის პოლიტიკის შედეგად, აფხაზური ენა და იდენტობა, ისევე როგორც კულტურული თვითმყოფადობა, გაქრობის სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. მის გადარჩენაზე, შენარჩუნებასა და განვითარებაზე ზრუნვა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ხელოვნურად გაყოფილი საზოგადოების წევრებს შორის დიალოგის, საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობისა და შერიგების გზაზე, რაც გამყარებულია როგორც ამ ენის კონსტიტუციური სტატუსით, ისე შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო პოლიტიკით. საქართველოს მთავრობის ურყევი სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში, აქტიურად გრძელდება მიზანმიმართული ძალისხმევა და ზრუნვა აფხაზური ენის დაცვის, კვლევისა და სამეცნიერო შესწავლის, ახალი შესაძლებლობების შექმნის მიზნით, ისევე როგორც ფართო პოპულარიზაციის ხელშეწყობა, რაც ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობის მატარებელი ფაქტორია აფხაზური საზოგადოების წევრებთან, ერთობლივ წარსულზე დამყარებული მტკიცე კულტურული კავშირებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების აღსადგენად ერთიან და ძლიერ საქართველოში“, – წერია სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ზუგდიდის მერის სტიპენდია 104 სტუდენტს დაენიშნა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მამუკა წოწერიას სტიპენდია 104 წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სპეციალურმა კომისიამ მიიღო.

ახალგაზრდების წახალისება ზუგდიდის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მერია ახალგაზრდული მიმართულებით არაერთ პროექტს ახორციელებს.

მერის სტიპენდია ვრცელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი-დევნილი) ახალგაზრდებზე (აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებზე), რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო-სამაგისტრო-სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე;

სტუდენტები მერის სტიპენდიას 250 ლარის ოდენობით მიიღებენ.

წინათქმა



ზაურ ფიფია

...უკვე „გვალენე“ 80 წელი! ...ამ დღეებში კარს შემომიღებს 85!..
...ეხ, რამხელა გავზრდილვარ, უკვე?!.

...5 წლის ვიყავი, როცა, ბაბუაჩემმა, ყამუ ფიფიამ „ყვირას“ მთაზე ამაბრძანა და „ქუაქანცალიას“, „დად ბეჩას ფოქვას“ „სათრო ინჭას“, „დემიში ფოქვას“, „ბედი ანაჩენს“ და სხვა საოცრებებს მაზიარა!

...ამ დღიდან დაიწყო ჩემი ბიოგრაფია:

...დავამთავრე სოფელ (ამჟამად ქალაქი) ჯვარის საშუალო სკოლა!

...ორი წელიწადი ხე-ტყეს ვაცურებდი ენგურზე!..

...მერე დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი!

...სტუდენტობისას გულში ჩამიხუტეს ჩემი მამულის მთა-გორებმა და მწვერვალებმა!

...ვეზიარე „მყინვარწვერს“, „უშბასა“, და „აილამას“!

...მუხლმოყრით ვეახელი „ალავერდსა“ და „სიონს“, „გელათსა“ და „სვეტიცხოველს“!

...რამდენიმე წელი მივუძღვენი მშობლიური რაიონის გაზეთს!

...მოკრძალებულ ნოველებს, მოთხრობებს და ნარკვევებს ვუწერდი ჩემი მამულის სიდიადეს...

...ჟურნალისტურმა ბილიკებმა ველოსიპედით შემომატარეს ე.წ. საბჭოთა რუსეთის ევროპული ნაწილი!...

...მერე იყო შუა აზია და ციმბირი, შორეული და ახლო აღმოსავლეთი; კუნძული სახალინი და ნახევარ კუნძული კამჩატკა!

...ჩრდილოეთის ქალაქ ნორილსკში ქართველებს სიყვარულისა და პატივისცემის სუფრა გაგვიშალეს „ნენცებმა“ და გულში ჩაგვიხუტეს.

...დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადავცურე მსოფლიოს უდიდესი და უღრმესი ბაიკალის ტბა და ვეწვიე ნოვოსიბირსკს, სადაც მელოდებოდნენ სახელოვანი ქართველები!

...შემდეგ კიდევ რამდენიმე ღირსშესანიშნაობას მივაგე პატივი მოსკოვში და პეტრეს ქალაქში...

...მივესიყვარულე ბალტიისპირეთსა და უკრაინას...

...ლვოვმა და ოდესამ გამიცოცხლეს ომში დაღუპული მამის კაცურკაცობა და სევდა!

...მერე იყო ევროპა და აფრიკა, მექსიკა და ბრაზილია!...

...და ავსტრალიასაც კი მივუძღვენი ერთი ნოველა, რომელსაც აქვე ვთავაზობ მკითხველს!...

...საქართველოს ტელევიზიაში მოღვაწეობის წლებში უჩვეულო მასშტაბებით იწერებოდა ტელენარკვევები და რეპორტაჟები კულტურის ძეგლებზე და სახელოვან ადამიანებზე!

...და ყველაზე მთავარი: ამ წლებში ტელემაყურებლებმა იხილეს ორიგინალური ჟანრის ჩემეული ტელეპროგრამა – „აუქციონი“! რომელმაც ჩინეთის, აშშ-ის და რუსეთის ტელეპროგრამებშიც „დაიდო ბინა“!...

...ეს ფაქტი დღესაც იწონებს თავს ჩემი „ფეისბუქის“ თავფურცელზე! მასში მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი ტელეჟურნალისტი და რეჟისორი ჯონ სევერჯია აღბეჭდილი, რომელიც მივლინებით ეწვია „აუქციონს“ და მასზე ერთსაათიანი ტელეგადაცემა შესთავაზა თავის მაყურებელს!

...და დღეს მადლობას ვუხდი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, რომ მომცა საშუალება, კიდევ ერთი „ნოველით“ კვლავ შევახსენო მკითხველს ჩემი კალამი!

ჩხარი
TURDUS VISCIVORUS

...თორმეტდღიანი წყალქვეშა „ოდისეის“ შემდეგ უსიერი სილურჯიდან ამოტივტივებული წყალქვეშა ნავის გემბანზე კაპიტანთან ერთად ვიდექი. გაჩახჩახებულმა დილის მზის სხივებმა თვალი მოგვჭრა. ზღვა იყო მშვიდი და ლურჯი. ჰორიზონტის ერთ მხარეს კარპენტარიის ყურე განფენილიყო. მეორე მხარეს, სადღაც, სივრცის დასასრულს, კუნძულ გრუნტ-აილენდის კონტურები ილანდებოდა. დადუმებულიყო ძრავების ხმა. ხომალდის ბორტთან რბილად მოლაქუცე ტალღების ჩქამი ისმოდა მხოლოდ.

– ყურადღება!... ეკიპაჟს უფლება აქვს გემბანზე ამოვიდეს და... სუფთა ჰაერი გადაყლაპოს, – ღიმილიანი ხმით გამოაცხადა კაპიტანმა რადიოში. ამ განცხადებამ ერთგვარი ხალისი გამოიწვია ხომალდზე...

– არის, კაპიტანო!...

მერე, უზადო წესრიგის დაცვით, ერთი-ერთმანეთზე მიყოლებით, გემბანზე განლაგდა ეკიპაჟი, კოხტად გაპარსულები, საზეიმოდ ჩაცმულები და ანთებული სახეებით.

...„სეირნობა“ საღამომდე გაგრძელდა გემბანზე. ზოგი, ვითომ, ცეკვავდა, ზოგი მღეროდა, უმეტესობა კი, ჰორიზონტს გაჰყურებდა და ასეთი შემთხვევისთვის კაპიტნის „ენზე“-ში შენახულ შამპანურს წრუპავდნენ.

მზე ჩრდილოეთიდან გვანათებდა და ამით ვხვდებოდით, რომ სადღაც, დედამიწის უკიდურეს სამხრეთში ვიმყოფებოდით. ვხვდებოდით ჩვენ, ისინი ვინც პირველად ვმონაწილეობდით ასეთ წყალქვეშა მოგზაურობაში, თორემ, ეკიპაჟმა, როგორც იტყვიან, ზეპირად იცოდა, საით მიდიოდნენ და რატომ მიდიოდნენ... და რახან მიდიოდნენ, ორნითოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ჩვენც გაგვაყოლა ამ ექსპედიციას. ჯგუფში სულ ხუთიოდე ორნითოლოგი და მე ვიყავით. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ვიკვლევდით ფრინველთა ერთ-ერთ სახეობას, რომელსაც **ტურდუს ვისცივარუს** ჰქვია და, მართალი გითხრათ, დიდი აუცილებლობა როდი იყო, ამ წყალქვეშა გზით ამოგვეცურა ეკვატორს ქვემოთ, მაგრამ, ო, ღმერთო ჩემო, ვინ იტყოდა უარს ასეთ მოგზაურობაზე?

ჰოდა, ასე ამოვყავით თავი ავსტრალიის კონტინენტის ჩრდილოეთ ნაპირებთან.

...ერთი თვის შემდეგ კი, როდესაც შინ დავბრუნდით, ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიშში დაწვრილებით აღვწერეთ მოგზაურობის დეტალები და მისი გამეორება აქ მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, მაგრამ მცირედს მაინც შევეხები:

ავსტრალიის კონტინენტი 7687000 კვადრატულ კილომეტრს უდრის. ეს, რა თქმა უნდა, ოკეანიის გამოკლებით, თორემ, ოკეანიის ჩათვლით მისი ფართობი 8 მილიონ 500000-ზე მეტი კვადრატული კილომეტრია. კონტინენტის თითქმის ცხრა მეათედი ზღვის დონიდან 350-500 მეტრზეა. მხოლოდ წყალგამყოფი ქედის სამხრეთშია ორიოდე მთა 1500-დან 2300 მეტრამდე სიმაღლის. აქაა ევკალიპტების მეჩხერი ტყეები და ნამდვილი მდინარეები. მთელი დანარჩენი ნაწილი უდაბნოებს, ნახევარუდაბნოებსა და ქვიან-ლოდიან უდაბნოებს უჭირავთ, სადაც მოედინებიან (თუ ამას დინება ჰქვია!) ე.წ. ეპიზოდური მდინარეები, რომელთაც მხოლოდ იშვიათად მოსული წვიმა თუ აახმიანებს.

მოგზაურობა „კეინ-იორკის“ კონცხიდან დავიწყეთ. აქედან წყალგამყოფ ქედს უნდა მივყოლოდით სამხრეთისკენ; უმაღლეს მთა, „კოსტუშკოზეც“ უნდა ავსულვიყავით, მელბურნის ზოოლოგიურ მუზეუმსაც ვსტუმრებოდით და ქალაქ არარატშიც მოვხვედრილიყავით. (საინტერესო იყო, ჰქონდა ამ ქალაქს, ვითომ, რაიმე საერთო სომხეთის არარატთან?) აქედან კი დასავლეთისკენ გაგვეგრძელებინა გზა, მაგრამ, როგორც სამეცნიერო ექსპედიციის დროს ხშირად ხდება ხოლმე, მოგზაურობის მარშრუტი იმისდამიხედვით იცვლება, საითაც მიდის საკვლევი ობიექტის კვალი.

...იმ დღეს ქალაქ არამაკის ერთ-ერთ ბარში ვისხედით. არჩილმა სწორედ აქ გადაწყვიტა მარშრუტის შეცვლა.

– ვითომ რატომაო?...–გაიკვირვა ბონდომ.

– იმათა, რომა, „ტურდუსთა“ გუნდს იქითკენ მივყევართ! ესეც არ იყოს, აქედან დასავლეთში, არჩილის „მოგვარე“ ქალაქია და ხომ უნდა მოვინახულოთ?!... – „ნათელი მოვფინე“ არჩილის აზრს.

კარგახანს ვიცინოდით ჩემს „მიხვედრილობაზე“ და, როდესაც „ბარის“ მზისფერგადაკრულმა მომსახურე გოგონამ ეჭვი შეიტანა ამ სიცილში, ჩვენც იმ „გაბერილ კაცზე“ მივუთითეთ, რომელიც ამ გაგანია სიცხეში ბოძს შემოხვეოდა და ზეზეულად ეძინა.

– ნოუ, მისტერ!... ის ჩვენი ქალაქიდან არ არის, იმიტომაა ასე გალეშილი!... – მოგვიბოდიშა მზისფერმა ლამაზმანმა.

– ნუ ღელავთ, ლამაზო! ჩვენ უფრო ტურდუსები გვაინტერესებს!... – დაამშვიდა ბონდომ.

– ო, მისტერ, ტურდუსები დასავლეთისკენაა უფრო ბევრი... მეც იმ სავანებიდან ვარ და მინახავს!...

– იმ დასავლეთში ყველა შენსავით ლამაზები არიან?..

მზისფერგადაკრულმა ტურფამ სურვილით აღსავსე თვალები შემოგვანათა.

– მეც სიამოვნებით წამოვიდოდი, მისტერ, მაგრამ... სამსახურს ყოველთვის და ყველგან ვერ იშოვის ადამიანი!..

ბონდომ მწველი ამბორით დაამშვიდა ლამაზმანი.

ამასობაში საველე რუკაზე უკვე გაევლო წითელი ისარი არჩილს და ამ ისრის ბოლოში, მართლაც, ეწერა ქალაქი „ბულია“!

– თქვენ დროული დახმარება გაგვიწიეთ, მშვენიერო, უღრმესი მადლობა!... – მადლობა მოახსენა არჩილმა ლამაზმანს!

...და დილით უკვე სამხრეთისკენ მიმავალ ავტობუსში ვისხედით.

ქვიშიან-ხვატიანი ასფალტირებული გზით ქალაქ ბულიასკენ მიგვიძღოდა არჩილ ბულია.

...თითქმის ათიოდე დღე დავრჩით ამ რეგიონშიც! მერე უკვე ქალაქ ბულიადანაც გავედით და ხან ფეხით, ხან ცხენიანი ფორნით, ხანაც კვლავ ავტობუსით, სიმფსონის და გიბსონის ქვიანი უდაბნოების გავლით, საზღვაო ნავსადგურ პერტში გავშალეთ ჩვენი კარავი.

ამოვისუნთქეთ და ამ ამოსუნთქვას ამოჰყვა უდაბნოს პაპანაქება და დაღლა.

პერტიდან კეიპტაუნისკენ მიდიოდნენ საზღვაო ლაინერები, იქიდან კი, აფრიკის გავლით უფრო ახლოს იყო შინაურებთან შეხვედრის სურვილი.

მაგრამ ამ სიამემდე ჯერ ისევ შორია.. ჩვენ „ტურდუსებს“ დავსდევდით ავსტრალიის უდაბნოებში.

„ტურდუს ვისცივარუს“ – ფრინველები ბეღურასებრთა ოჯახიდან! ეს გვარი 30-მდე სახეობას აერთიანებს. ოდნავ წაგრძელებული, ტანადი სხეული აქვს და სხვადასხვა გვარად არიან შეფერადებულები. ახასიათებთ სქესობრივი დიმორფიზმი, დედალ-მამალი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან სიდიდით, ფერით და ასე შემდეგ. ზოგიერთ სახეობას აქვს მორუხო ფერის ზურგი და თეთრი, მუქლურჯი მუცელი. როგორც ორნითოლოგები ამბობენ, გავრცელებულია ევროპისა და აზიის წიწვიან და ფოთლოვან ტყეებში. საკმაოდ გვხვდება ავსტრალიაშიც. ბუდობს ხეებზე, დებს 4-5 კვერცხს, ინკუბირებს 2 კვირა.

ჩვენი ექსპედიციის მთავარი მიზანი იყო, დავკვირვებოდით ამ სახეობას ავსტრალიის კონტინენტზეც, სადაც ამ თემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ორნითოლოგიაში, საერთოდ, ასევე ფერმერულ მეურნეობაში. ამ ფრინველის ერთ-ერთი სახეობა „ავსტრალიურ ხოჭოსთან“ ერთად გახდა კულტურულ მცენარეთა სასტიკი მავნებლის, „იცერიის“ უპირველესი ბიოლოგიური მტერი. „იცერია“ კი მხოლოდ ავსტრალიისა და მიმდებარე კუნძულების ენდემი გახლავთ და სწორედ მისმა სიმრავლემ მოიზიდა, ალბათ, „ტურდუსები“ აქეთ. კიდევ კარგი, თორემ ადამიანები ხშირად უჭკუოდ ვიქცევით და ავსტრალიაშიც ასე მოხდა: -ეგრეთწოდებულმა, „თავისუფალმა მონადირეებმა“ მუსრი გაავლეს აქაურ ფლორას და ფაუნას. ეს პროცესი განსაკუთრებით განვითარდა მას შემდეგ, რაც აქ, **ამ კუნძულ-კონტინენტზე მე-17 საუკუნიდან ინტენსიური გადმოსახლება დაიწყეს ევროპელმა კრიმინალებმა. ინგლისელი მეკობრის, ვინმე დამპირის მიერ გაკვალულ გზაზე მრავალმა მოგზაურმა გაიარა და 1788 წელს პორტ-ჯეკსონის უბეში (სიდნეი) კატორღელთა კოლონიის დაარსებისთანავე დაიწყო კონტინენტის სახეცვლილება.** უპირველესად გადაშენების გზაზე დადგა ავსტრალიის აბორიგენი მოსახლეობა. დაიწყო ფლორისა და ფაუნის განადგურება. მაგრამ ერთადერთი ფორმა „იცერია“ იყო, რომლის ბიოლოგიური გამრავლება წლიდან წლამდე, არათუ მცირდებოდა, არამედ ერთიათად მატულობდა. ამ დროს გამოჩნდნენ „ტურდუსებიც“! არავინ იცის, რომელი კონტინენტიდან შემოფრინდნენ ისინი ავსტრალიაში, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეს ფრინველები მხსნელად მოევლინნენ აქაურ ფლორას.

ამსობაში „იცერია“ დაემუქრა ევროპასაც,

ვინ იყვნენ ფუსტელები, რომლებიც ჯვრებს ტანისამოსის შიგნით ატარებდნენ?!

სვანეთის ეკლესიაში მომხდარი სასწაული და წყარო, სადაც უამრავი ხატია განბანილი და მაკურნებელი თვისებები აქვს

ფუსტოება ჯერ კიდევ 4 ათასი წლის წინ არსებობდა, შუა მდინარულ და ხეთურ სამყაროში, ოღონდ მაშინ ფუსტელები წარმართულ რელიგიას მსახურებდნენ. როგორც კი ქრისტიანული სარწმუნოება დამკვიდრდა, მათ ქრისტიანული ტაძრების დაცვა დაიწყეს.

ფუსტი სვანურად უფალს ნიშნავს, ფუსტელი კი არის ადამიანი, რომელიც სიწმინდეებისა და ეკლესიების მფარველი, პატრონი და დამცველია. საქართველოს უამრავი მტერი ჰყავდა და ყოველი მათგანი პირველ რიგში ეკლესიისა და ხატების განადგურებას ცდილობდა. როგორც კი საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს აოხრების საშიშროება დაემუქრებოდა, ფუსტელების მიერ ხდებოდა იმ ადგილიდან სიწმინდეების წაღება და შედარებით დაცულ ადგილზე გადატანა.

ერთ-ერთი ასეთი ადგილი გახლდათ სვანეთი, რადგან ის მტრისთვის ძნელად ხელმისაწვდომი იყო. რაჭაში გახლავთ სოფელი ფუტიეთი. ეს სოფელი ასრულებდა ფორპოსტის (შემნახველის) ფუნქციას, საუკუნეების განმავლობაში. ეს გახლავთ საეკლესიო სოფელი, საკათალიკოსო ღირსებით. იქ გახლავთ სამონასტრო კომპლექსი, მას დღემდე სვანურ ეკლესიას ეძახიან. ამ კომპლექსში გაერთიანებულია წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და რამდენიმე ციხესიმაგრე. როდესაც ფუსტელებს სიწმინდეები გადაჰქონდათ, სწორედ სოფელ ფუტიეთში ისვენებდნენ და მათაც სწორედ სვანურ ტაძარში ასვენებდნენ. იქვე იყო წყარო, სადაც ხდებოდა ამ სიწმინდეების გავლება. ფაქტობრივად, ეს ნაკურთხი წყარო გახლავთ, რადგან მასში უამრავი სიწმინდეა გავლებული და ამ წყალს მაკურნებელი თვისებებიც აქვს.

ცნობილი ფაქტია, რომ სვეტიცხოვლის სიწმინდეების საცავი იყო სოფელი ეცერი, რომელიც სვანეთში მესტიასთან ახლოს მდებარეობს. მშვიდობიანობის ჟამს სიწმინდეები თავდაპირველ სამყოფელს ხშირ შემთხვევაში ალბათ არ უბრუნდებოდა, რადგან სხვადასხვა მტრის ბატონობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა და ამის გამო სიწმინდეები დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა სვანეთში. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ამ კუთხეში აურაცხელი სიმდიდრე იყო თავმოყრილი.

გზა, რომელზედაც ამ სიწმინდეებს გაატარებდნენ ხოლმე, გახლავთ საჩხერე-მესტიის გზა, რომელიც დღესდღეობით არ ფუნქციონირებს. წარმოიდგინეთ ის მადლი, რომელიც ამ გზას აქვს. ადიშის ოთხთავი, რომელიც შატბერდში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია) გახლავთ გადაწერილი, ამ გზაზეა გამოტარებული. ასევე „კორიდეთის ოთხთავი“, რომელიც თურქეთში ჭოროხის ხეობაში პეტრიწის მონასტერში გახლდათ, სწორედ ამ გზაზეა გამოტარებული და მიტანილია სვანეთში.

ეს ამგვარი მე-13 საუკუნეში ხდებოდა და თითქმის წარმოუდგენელია, რომ იმ დროში ფუსტელებმა შეძლეს თურქეთიდან სიწმინდეების გამოტანა და გადარჩენა. სვანებს, როგორც ფუსტის რაინდებს, საეკლესიო სიწმინდეების დაცვის ფუნქცია ჰქონდათ. ამ ფუნქციაში შედიოდა არა მარტო დაცვა, არამედ ეკლესიაში წესრიგის დამყარებაც.

საჩხერე-მესტიის გზა დაკეტილი იყო თითქმის 200 წლის განმავლობაში, 1819-1820 წლის საეკლესიო აჯანყების შემდეგ, ალბათ მოგეხსენებათ, რას მოჰყვა საეკლესიო აჯანყება. როგორც კი რუსები საქართველოში შემოვიდნენ, გააუქმეს ავტოკეფალია და დაიწყეს საეკლესიო სიმდიდრის, ხატების, ჯვრების გატანა საქართველოდან. სიწმინდეების გადასარჩენად ამოქმედდა საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული მექანიზმი და ფუსტელებმა სწორედ ამ გზით დაიწყეს სიწმინდეების ევაკუაცია. სვანეთისკენ მიმავალ ფუსტის რაინდებს აედევნა რუსის ჯარი. პირველი შეტაკება მათ შორის მოხდა გურიაში, სოფელ შემოქმედში. მეორე – იმერეთში, სოფელ საზანოში, სადაც 400 ფუსტელი დაიღუპა. შემდეგ მათ გააგრძელეს გზა და რაჭაში, სოფელ ფუტიეთში მოხდა კიდევ ერთი შეტაკება.

რუსი გენერალი აღწერს ბრძოლის მომენტებს და აღნიშნავს, რომ მებრძოლებს შორის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც კისერზე დიდი ჯვრები ეკიდათო. მისი ვარაუდით, ისინი მღვდლები იყვნენ. რა თქმა უნდა, ფუსტელებს შორის სასულიერო პირებიც იქნებოდნენ, მაგრამ ფუსტის რაინდებს ასეთი წესი ჰქონდათ: ისინი ტანისამოსის შიგნით ჯვრებს ატარებდნენ. რაც შეეხება სოფელ ფუტიეთში მომხდარ შეტაკებას, რუსის ჯარსა და ფუსტელებს შორის, დამთავრდა იმით, რომ ფუსტის რაინდებმა გზა გადაკეტეს და ექსპედიციას, რომელსაც სიწმინდეები მიჰქონდა ჯორებით, ნაწილი კი ხალხს ჰქონდა ზურგზე მოკიდებული, საშუალება მისცეს, უვნებლად გასულიყვნენ.

შეტაკების დროს 2000 ფუსტელი დაიღუპა. სიწმინდეების გადარჩენას შესწირეს სიცოცხლე. მოგვიანებით, რუსულმა ხელისუფლებამ სოფელი ფუტიეთი სახელმწიფო ხაზინას გადასცა.

გაგრძელება მე-9 გვ.

მოედო აზიას, აფრიკას, ამერიკას და მისი გავრცელების არეალმა კატასტროფულად იმატა. ამიტომაც გახდა „ტურდუსთა“ შესწავლა ერთობ აქტუალური. ასე რომ, მაშინ ჯერ კიდევ შეუსწავლელმა „ახალმა კონტინენტმაც“ არაერთი საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს:

1875 წელს კუნძულ ფიჯის ერთ-ერთმა მმართველმა თავის სამეფო ოჯახთან ერთად მოისურვა „ახალი კონტინენტის“ მონახულება, საიდანაც უამრავი საოცარი ამბები ესმოდა.

მოიარა ავსტრალია მეფის ოჯახმა და, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, მეფისწული უჩვეულო სენით გახდა ავად.

სამეფოში დაბრუნებულ მეფის ჯალაბს საზეიმო დახვედრა მოუწყვეს თანამემამულეებმა, მაგრამ ჯერ კიდევ ზეიმი არ იყო დამთავრებული, რომ უცნობი სენი ელვის სისწრაფით მოედო ფიჯის კუნძულებს. მოედო და სულ მოკლე ხანში 40 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე წაიღო... ეს ავადმყოფობა იყო დღეს უკვე ყველასათვის ცნობილი „წითელა“!

აქედან მოედო იგი მთელ მსოფლიოს!

...ახლა კი, როგორც მოგახსენეთ, კიდევ ერთი პრობლემის შესასწავლად ჩამოვედით ამ სიშორეზე.

ავსტრალიის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე მოხდა ჩვენი პირველი შეხვედრა „ტურდუსებთან“. კეინ-იორკის ნახევარკუნძულზე ისინი კანტიკუნტად დაფრინავდნენ და მხოლოდ იმითი ვკმაყოფილდებოდით, რომ შორიდან ვადევნებდით თვალს, მაგრამ რაც მეტად მივიწევდით კონტინენტის სიღრმისკენ, უფრო მრავლდებოდა გუნდი. ჩვენი ინტენსიური შრომაც აქედან დაიწყო. ოღონდ „ტურდუსებზე“ ნადირობა ავსტრალიაში აკრძალული გახლავთ!... და ამან გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა. ბოლოს საშველი მაინც გამოჩნდა, – ერთმა ადგილობრივმა ფერმერმა თავისთავზე აიღო ამ პრობლემის მოგვარება და უკვე ყოველ საღამოს, ჩვენს სახელდახელო ფარდულში მუდამ გვყავდა თხუთმეტამდე ფრინველი. ოღონდ, ეგ იყო, რომ მათ ხელახლა განთავისუფლებაზე ვერ დავითანხმეთ მასპინძელი. იგი სასწრაფოდ ფუფქავდა მათ და ისეთ მწვადებს ააშიხნიებდა, რომ ჩვენც ვერ ვამბობდით უარს ასეთ დელიკატესზე. და, როცა ამ დელიკატესს გემო გავუსინჯე, მე დავასკვენი, „ტურდუსები“ ტყუპისცალივით ჰგავდნენ ჩვენებურ ჩხართვებს!

არჩილმა ერთ-ორჯერ ლექციაც კი „წამიკითხა“ ამ თემაზე და უარყო ჩემი „მოჩვენება“, მაგრამ მე მაინც ვერ დამაჯერა.

– კაი, ბატონო, ასე იყოს!... შენ ჩხართვი დაუძახე!

– დავუძახო კი არა, ვერა ხედავ, ზედგამოჭრილი ჩვენებური ჩხართვები არიან?!... თეთრ შაშვს რომ ეძახიან... ასე გუნდურად დაფრინავენ ისინიც ზამთრობით!

– მართალია, კი ჰგვანან ჩხართვებს, მაგრამ...

– მაინც, რა ჯიუტია ეს არჩილი!... ჩხართვი არ არისო, მეუბნება!... არადა, ზედგამოჭრილი ჩხართვია! – ფიქრებში ვედავებოდი არჩილს და ვატყობდი ულვაშებში ღიმილი დამთამაშებდა.

ასეა თუ ისე, ჩვენებური ჩხართვისნაირი, მართლაც არაფერია ამ ქვეყანაზე!... ზამთრის პირს ტყიდან სოფლისკენ ჩამოიწევენ, მოედებიან სოფლის სავარგულებს, კენკავენ ფითრს, კურკანტელას, მოცხარს და უჩუმრად ფუთფუთებენ სუროს ფოთლებში. განსაკუთრებით მდინარის ჭალებში ქაცვის პლანტაციებს შეესევიან და ერთ საათში ისე გამოიბესტებიან, რომ აფრენაც კი უჭირთ. აი, მაშინ სოფლის ბიჭები მივეპარებოდით ქაცვნარს, დავიწყებდით ქვის სროლას, ყვირილს. ასე ვაიძულებდით აფრენილიყვნენ, რომ ჰაერშივე ამოგვეღო მიზანში და გაშლილ საფანტს მეტი ჩამოეყარა. თან, ნანადირევი ქაცვნარიდან შორს ჩამოცვენილიყო და ადვილად აგვეღო. ეკლიან ქაცვნარში კი ჩვენი ჯეკა რომ ჯეკაა, ისიც ვერ შედიოდა! ჰოდა, ვნადირობდით ასე. საღამოს 20-25 ჩხართვი ყოველ ჩვენგანს ჰქონდა მონადირებული. ამდენი ჩხართვი კი, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო? ორი თუ სამი დღე ეყოფოდა „ჩახოხბილად“ ოჯახს. მერე და, როგორ ჩახოხბილად? თითებს ჩაიკვნეტდი შიგ!

ჩემს სოფელში ჩხართვებზე ნადირობა მოდაში იყო და მას „ჩხართვობასაც“ კი ვეძახდით.

* * *

...ნადირობის სეზონი უკვე დიდი ხნის დამთავრებული იყო. ოდის აივანზე ვისხედით და აქეთურ-იქითურზე ვსაუბრობდით ბიჭები. აი, ისეთი საღამო იყო, ახლა, რომ არის ავსტრალიის მიწაზე, – მშვიდი და სინაზით აღსავსე. ოღონდ აქ ავსტრალიური ხვატი და პაპანაქება ეს-ეს არის იკრეფს კალთებს, იქ კი ხეობიდან მონაბერი სიგრილის ჟრუანტელი გვივლიდა ტანში. სისანდობა დასადგურებულიყო სოფელში. ჩვენც ვცდილობდით ნაკლებად დაგვერღვია ეს მყუდროება. მშვიდად, ჩუმად ვუგდებდით ყურს სოფლის ჩამიჩუმს.

მეზობლის ღობე-ყორეზე მდგარ სუროს სიმწვანით ჩანაბდებულ აკაციაზე რაღაცამ გაიფრთხიალა და ფოთლებში ჩაიკარგა. ცოტა ხანში საოცარმა გალობამ დაარღვია ეს მყუდროება. ჯერ შეპარვით, ჩუმად, მერე თანდათან მიემატა ნოტი-ნოტს და ამ გაგანია სიჩუმეში ბუნებას აღმოხდა ხმა საოცარი, – რომელიღაც ფრთოსანმა გულამოსკვნით დაიწყო თავისი უჩვეულო კონცერტი.

– ეტყობა, ბუდე აქვს აქ რომელიღაც ჩიტს! – ჩურჩულით თქვა ზურიკომ.

– ეტყობა!... რა ჩიტია, ნეტავი?

– მაფშალიაა, ალბათ!

– მაფშალია?... არა! სხვა რაღაცაა! მაფშალია უფრო მაღალ ტონზე გალობს!

–სუ!.. ჩუმად, არ დააფრთხო!.. ვუსმინოთ!

გალობდა ჩიტი და სიამედ ეღვრებოდა მისი ხმა არეს!

გალობდა ჩიტი და ეს გალობა მალამოდ ეფინებოდა სულს!

დიდხანს, დიდხანს გალობდა ჩიტი და ბუნება საოცარი მონდომებით უგდებდა ყურს ამ გალობას!

მერე, ისევ შეიფრთხიალა ჩიტმა და მთვარის შუქით გაფერმკრთალებულ ტოტზე აინაცვლა, ავანსცენაზე გამოსული მსახიობივით.

–ე, ბიჭო!... ღმერთო დიდებულო, ეს ხომ ჩხართვია?...

...შაშვის გალობა კი, მარა... ჩხართვის გალობა არავის სმენია სოფელში!... გაგონილი მაქვს, მხოლოდ ბუდობისას იცისო ასე... ბუდობით კი მთაში ბუდობს და... რაოდენი სინაზე ჰქონია ამ დალოცვილს! – თქვა გიგლამ.

– მონადირეებს გადარჩენილი ჩხართვია, ალბათ... რად დაიბუდა ბარში, ნეტაი? საოცარია ბუნების განგება!... – ვთქვი მე.

ახლა ჩვენს ჩურჩულს უსმენდა ჩიტი და, ვინ იცის, რას ფიქრობდა, ვის თუ რას ელაპარაკებოდა.

...მას მერე ჩემს სოფელში არავის არასოდეს უნადირია ჩხართვზე. არასდროს გვიძებნია შვიდი ნომერი საფანტი!... სიყვარულმა და სათნოებამ დაგვავიწყა იგი!...

...ეს იყო ჩემი ყმაწვილობის წლები. ახლა კი, აგერ ვარ, ქვიშითა და უდაბნოს ჰაერით გაჟღენთილ ავსტრალიის სავანებში და ყურს ვუგდებ ბუნებას. ევკალიპტის ფართოდ გაშლილი ტოტები ერთთავად დაუფარავთ ტურდუსებს. ხვალინდელი დღის მოლოდინში ჩაფიქრებულნი თვლემენ და ათასში ერთხელ თუ შეფრთხიალდებიან მეზობლით შეწუხებული ფრინველები.

...მერე ისევ, სადღაც შორს, სტვენის მსგავსი ხმა გაისმა, გალობას მინამგვანი.

...მერე ისევ, შორს, ოდნავ შეცვლილი ხმით, თითქოს, თანდათან ეპარებაო ღამის მყუდროებას ეს ხმა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ აფათურებდა ხელებს სავანის სულში. და მოხდა ის, რამაც მაშინ გამაოცა ჩემი ოდის აივანზე მჯდომი, – აქვე, ახლოს, ჩემ ქვემოთ მდგარი ევკალიპტების წიაღიდან ისეთივე სტვენამ გასცა პასუხი სიშორიდან მომდინარე ხმას.

– ჩუმად!... ჩუმად-მეთქი!... – შევუძახე საკუთარ თავს და სმენად ვიქეცი.

სტვენას სტვენა მოჰყვა. და ავსტრალიის ღამე დაატკბო უმშვენიერესმა ჰანგებმა!. გალობდნენ ტურდუსები, გალობდნენ და ისინი ტყუპისცალივით ჰგავდნენ ჩხართვებს, ჩვენს ჩხართვებს, ჩვენს სილამაზეს!

– არჩილ, არჩილ!... გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ-მეთქი!... ერთი ყური მიუგდეთ ტურდუსებს... გაიღვიძეთ!

კარავიდან დაფეთებულები გამოვარდნენ არჩილი და ბონდო.

– რა ხდება, შე გადარეულო, რა იყო?!..

– ჩხართვი, არჩილ, ჩვენი ჩხართვები გალობენ!... მოუსმინეთ!

ხმაურზე ჩაჩუმდნენ მგალობლები. მერე ისევ შეაპარეს ავსტრალიის ცას თავიანთი გულისთქმა და მეც სულის სიღრმეში საოცარი ჰანგებით კვლავ ამიკვნესდნენ ჩემი, შინდარჩენილი, მონატრებული ჩხართვები...

ზ. ფ.

ახალი ზელანდიის ძლიერი პრემიერი ქრისტოფერ ლაქსონი

დასავლეთის ბლოკში შემავალი კუნძულოვანი ქვეყანა ახალი ზელანდია ტერიტორიულად იმდენად შორსაა ევროპიდან და ამერიკიდან, რომ დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობას იშვიათად თუ გაახსენდება ხოლმე მისი არსებობა, და არც კი იციან, რა ხდება იქ. ამ დროს პოლიტიკურად ერთ-ერთი ყველაზე მყარი და სოციალურ-ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა მსოფლიოში. ახალი ზელანდიის მკვიდრი ეთნოსია პოლონეზიური წარმოშობის ერი, სახელად, მაორი. 1642 წელს ნიდერლანდელმა მოგზაურმა აბელ ტასმანმა აღმოაჩინა ეს კუნძული. შემდეგ ახალ ზელანდიას ინგლისელი მოგზაური ჯეიმს კუკი ეწვია. მე-19 საუკუნის შუა წლებში კი, ინგლისელებმა ახალი ზელანდიის კოლონიზაცია მოახდინეს. 1907 წელს ქვეყანამ დამოუკიდებელობა გამოაცხადა. დღევანდელ ხუთმილიონიან ქვეყანაში მოსახლეობის 70 პროცენტი ევროპელი კოლონიზატორების შთამომავალია.

ახალი ზელანდია საპარლამენტო რესპუბლიკაა, მაგრამ, ტრადიციის მიხედვით, ისევ ერთა ბრიტანულ თანამეგობრობაში შედის, ანუ ახალი ზელანდიის სახელმწიფოს მეთაურად ბრიტანეთის მეფე ითვლება. ბრიტანეთის ინტერესებს ქვეყანაში გენერალ-გუბერნატორი იცავს, რომელიც საპარლამენტო მოდელის მქონე რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციებს ასრულებს. ქვეყნის რეალური მმართველი პრემიერ-მინისტრია. ახალი ზელანდიის პრემიერი დღეს 54 წლის ყოფილი ბიზნესმენი ქრისტოფერ ლაქსონია. ის ახალი ზელანდიის სამხრეთში, ქალაქ კრაისტ ჩერჩში დაიბადა. მამამისი ამერიკული კომპანიის ჯონსონ ენდ ჯონსონის ახალი ზელანდიის ფილიალის გაყიდვების მენეჯერი იყო, დედა კი – ფსიქოთერაპევტი.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ქრისმა კენტერბერის უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, სადაც მაგისტრის წოდებაც მოიპოვა. კარიერა მსოფლიოში ცნობილ ტრანსნაციონალურ კომპანია **Unilever**-ში დაიწყო. იუნილეევერი საყოფაცხოვრებო და სასურსათო საქონლის მწარმოებელი ფირმაა, სადაც ლაქსონმა 18 წელიწადს იმუშავა და კარიერის ყველა საფეხური გაიარა. სხვადასხვა დროს კომპანიის სიდნეის, ჩიკაგოსა და ლონდონის ფილიალებში მუშაობდა. 2008 წელს ლაქსონი იუნილეევერის კანადის ფილიალის უფროსად დანიშნეს. სამი წლის შემდეგ ახალი ზელანდიის მთავარ ავიაკომპანია **Air-New-Zealand**-ის ერთ-ერთი მთავარი მენეჯერის ადგილი შესთავაზეს. 2012-19 წლებში ქრის ლაქსონი ამ ავიაკომპანიის გენერალური დირექტორი იყო. მისი გულმოდგინე და ნიჭიერი ხელმძღვანელობით, **Air-New-Zealand** მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ავიაკომპანია გახდა, რომელმაც მისი მმართველობის დროს 200 პროცენტით გაზარდა მოგება. ასეთი ნაყოფიერი სამსახურისთვის, კრისტოფერ- ლაქსონმა არაერთი ჯილდო დაიმსახურა. ავიაკომპანიაში მუშაობის პერიოდში, ლაქსონი ახალ ზელანდიელ პოლიტიკოსებს დაუახლოვდა. პოლიტიკური მრწამსიდან გამომდინარე, კონსერვატორებს უჭერდა მხარს.

რაც შეეხება ახალი ზელანდიის პოლიტიკურ ლანდშაფტს, ისტორიულად, აქ მხოლოდ ორი პარტიაა ასპარეზზე: მემარჯვენე ნაციონალური და მემარცხენე ლეიბორისტული. კონსერვატორები ყოველთვის ცდილობენ თავიანთ რიგებში ისეთი წარმატებული ბიზნესმენების გადაბირებას, როგორიც ლაქსონი იყო. და აი, 2019 წელს ქრისტოფერ ლაქსონის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ის ახალი ზელანდიის ნაციონალურ პარტიაში გაწევრდა. პარტიის ხელმძღვანელობა, ცხადია, სიხარულით შეხვდა მას. ლაქსონი აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური პარტია მეორე ადგილზე გავიდა. პირველზე – ისევ ლეიბორისტები. პირადად ლაქსონმა თავის საარჩევნო ოლქში არჩევნები მოიგო და ახალი ზელანდიის პარლამენტის წევრი გახდა.

2021 წელს ნაციონალურ პარტიაში კრიზისმა იჩინა თავი. პარტიის ლიდერი ჯუდით კოლინზი და მისი მოადგილე საიმონ ბრიჯისი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. კრიზისიდან გამოსავალი მხოლოდ პარტიის ლიდერის ახალ არჩევნებში იყო. ჯუდით კოლინზს გადადგომა მოუწია. პარტიის ყრილობამ არჩევნებზე ორი კანდიდატი წამოაყენა – საიმონ ბრიჯისი და კრისტოფერ ლაქსონი. შეჯიბრი ლაქსონმა მოიგო და ნაციონალური პარტიის ლიდერი გახდა.

2023 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ნაციონალურმა პარტიამ ერთი წლით ადრე დაიწყო მზადება. პარტიის საარჩევნო კამპანიის ლოზუნგი იყო **Back-on-Track**, ანუ სწორ გზაზე დაბრუნება. ამით, ნაციონალურ პარტიას უნდოდა, ხაზი გაესვა, რომ მისი მმართველობის ადრინდელი ხანა უკეთესი იყო, ვიდრე იმდროინდელი ლეიბორისტების მმართველობა. 2023 წლის 14 ოქტომბერს ახალი ზელანდიის მორიგი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. ნაციონალურმა პარტიამ, ლაქსონის ლიდერობით, ხმათა 38 პროცენტი მიიღო და პირველ ადგილზე გავიდა, თუმცა, მთავრობის შესადგენად კოალიციის შექმნა მოუწია, რისთვისაც სხვა მემარჯვენეებთან დაიწყო მოლაპარაკება. 2023 წლის 24 ნოემბერს შეიქმნა მმართველი კოალიცია სამი პარტიისგან.

27 ნოემბერს ახალი ზელანდიის გენერალ-გუბერნატორმა სინდი კირომ ახალ მემარჯვენეთა კაბინეტი კრისტოფერ ლაქსონის ხელმძღვანელობით, ოფიციალურად დაამტკიცა. ამით, ლეიბორისტების ექვსწლიანი მმართველობა დამთავრდა. კრისტოფერ ლაქსონი ახალი ზელანდიის 42-ე პრემიერ-მინისტრი გახდა.

შიდა პოლიტიკაში კრისტოფერ ლაქსონი გადასახადებსა და სოციალურ პროგრამებზე სახელმწიფო ხარჯების შემცირების მომხრეა. ახალგაზრდებში კრიმინალის ზრდის გამო, ის მხარს უჭერს კანონმდებლობის გამკაცრებას კრიმინალურ ჯგუფებთან საბრძოლველად და არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის სამხედრო სტილის საწვრთნელი ბანაკების შექმნას. საგარეო პოლიტიკაში ლაქსონს მკვეთრი პრო-ამერიკული მხარე უჭირავს. ის ინდოეთ-წყნარი ოკეანის რეგიონში ამერიკის გაძლიერების მომხრეა. ლაქსონმა, როგორც ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა, პირველი საგარეო ვიზიტი ავსტრალიაში განახორციელა, რომლის დროსაც მან განაცხადა, რომ ახალი ზელანდია კვლავ ბირთვული იარაღიდან თავისუფალი ზონა იქნება, მაგრამ თავდაცვისა და უსაფრთხოების სხვა საკითხებში **AUKUS**-ს, ანუ სამმხრივ თავდაცვით ხელშეკრულებას შეუერთდება. ლაქსონს, ასევე, პროისრაელური და პროუკრაინული პოზიციები უკავია. ამის გამო რუსეთმა ლაქსოს სანქციები დაუწესა.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

პლანეტის უდიდესი ტბა – კასპიის ზღვა სწრაფად შრება!

პლანეტის უდიდესი ტბა „კასპიის ზღვაა“, მისი დახვეული სანაპირო 4000 მილზე მეტ მანძილზეა გადაჭიმული და მას ხუთი ქვეყანა: ყაზახეთი, ირანი, აზერბაიჯანი, რუსეთი და თურქმენეთი ესაზღვრება.

ეს ქვეყნები კასპიის ზღვაზე არაერთი მიმართულებით არიან დამოკიდებულები, მათ შორის, მეთევზეობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და სასმელი წყლის, ასევე ნავთობისა და გაზის მარაგებით. კასპიის ზღვა ხელს უწყობს ამ მშრალი რეგიონის კლიმატის რეგულირებას, რაც უზრუნველყოფს ნალექსა და ტენიანობას ცენტრალურ აზიაში.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილება ამაღლებს გლობალურ ზღვის დონეს, ეს განსხვავებულად მოქმედებს ტბებზე: კასპიის ზღვა საზრდოობს მდინარეებიდან შემოდინებული წყლიდან. ეს ბალანსი კი გლობალურ დათბობასთან ერთად იცვლება, რაც ტბების დონის შემცირებას იწვევს და გამონაკლისი არც „კასპიის ზღვაა“.

ექსპერტებმა შენიშნეს, რომ „კასპიის ზღვის“ კალაპოტი ყოველწლიურად 7 სანტიმეტრით იკლებს და ეს ტენდენცია მზარდია. დაკვირვების თანახმად, ხუთ წელიწადში მისი დონე 40 სანტიმეტრით დაიკლებს, ხოლო 10 წელიწადში დანაკლისი 1 მეტრს მიაღწევს.

კასპიის ზღვაში 130 მდინარე შეედინება, თუმცა წყლის დაახლოებით 80% მხოლოდ ერთიდან, მდინარე „ვოლგიდან“ შეედინება, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ რუსეთში გაედინება. „კასპიის ზღვაში““ წყლის ნაკლებობა ხელოვნური ჩარევებითაც არის გამოწვეული, რაც კაშხლების მშენებლობას უკავშირდება.

თეირანის უნივერსიტეტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევების ექსპერტის განმარტებით, რუსეთმა 40 კაშხალი ააშენა, მათგან კიდევ 18 დამუშავების პროცესშია, რაც „კასპიის ზღვაში“ შემავალი წყლის ნაკადს საგრძნობლად ამცირებს.

კვლევის თანახმად, 2100 წლისთვის, შესაძლოა, „კასპიის ზღვის“ დონემ 30 მეტრამდე დაიკლოს. თუ გლობალური დათბობის სცენარი უფრო ოპტიმისტური იქნება, ეს „კასპიის ზღვის“ ზედაპირულ, ჩრდილოეთ ნაწილს მაინც ვერ გადაარჩენს და ის, ძირითადად ყაზახეთის გარშემო, მთლიანად გაქრება, რაც „კასპიის ზღვის“ ქვეყნებისთვის სერიოზულ კრიზისს წარმოადგენს.

ამ აღმოჩენას შეუძლია დედამიწის ისტორია ხელახლა დაწეროს!

რის შესახებ საუბრობენ მეცნიერები?!

მეცნიერებმა მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთეს. მათი აზრით, ეს არის დიდი ხნის დაკარგული წყალქვეშა შეჯახების მტკიცებულება, რომელიც მოხდა 100 მილიონი წლის წინ წყნარი ოკეანის ქვემოთ. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.

ჯგუფმა აღმოაჩინა უძველესი ზღვის ფსკერის ნაშთები, რომელიც, სავარაუდოდ, ტექტონიკური ფირფიტის ნაწილია. იგი, სავარაუდოდ, ჩამოიშალა და ჩამოცურდა მილიონობით წლის წინ.

„ჩვენი აღმოჩენა ხსნის ახალ კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს დედამიწის სიღრმე იმაზე, რასაც ჩვენ ვხედავთ ზედაპირზე უზარმაზარ დისტანციებზე და დროში“, – განაცხადა ერთ-ერთმა მეცნიერმა.



მეცნიერებმა აღმოაჩინეს 19312 მეტრის სისქის და 1931 კილომეტრი სიგრძის ტერიტორია „მანტიის გარდამავალ ზონაში“. ეს არის რეგიონი, რომელიც გამოყოფს ზედა მანტიას ქვედისგან.

მკვლევარის თქმით, ეს აღმოჩენა ნიშნავს, რომ მეცნიერებს მოუწევთ გადახედონ იმას, რაც ვიცით მანტიის გარდამავალი ზონის შესახებ.

ვანგი თვლის, რომ ოკეანის სიღრმეში კიდევ უფრო ძველი სტრუქტურებიც არსებობს.

მან თქვა: „ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ გვჯერა, რომ კიდევ ბევრი უძველესი სტრუქტურა ელოდება აღმოჩენას დედამიწის სიღრმეში. თითოეულ მათგანს აქვს პოტენციალი, გამოავლინოს ბევრი ახალი შეხედულება ჩვენი პლანეტის რთული წარსულის შესახებ“.

ვინ იყვნენ ფუსტელები, რომლებიც ჯვრებს ტანისამოსის შიგნით ატარებდნენ?!

მეშვიდე გვერდიდან

დღესდღეობით მხოლოდ სვანეთშია შემორჩენილი დაურბეველი ტაძრები. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ ხალხს უფლის მიმართ ერთგულება და სიყვარული უაღრესად მაღალ დონეზე ჰქონდა.

არსებობდა წესი,რომლის მიხედვითაც ხდებოდა ფუსტის რაინდების შერჩევა და კურთხევა. ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო ნამდვილი ვაჟკაცი, მორწმუნე და კარგი მებრძოლი.

ყველას ჰგონია, რომ სვანური კოშკი თავდაცვის მიზნით შენდებოდა. კოშკების უმეტესი ნაწილი XI-XII საუკუნეებშია აგებული. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში სტაბილური მდგომარეობა იყო. ამიტომ არც გარეშე მტრის ეშინოდათ არც შიდა აშლილობის. მაშინ რად აშენებდნენ კოშკებს?

კალას თემი.სვანები კვირიკესა და ივლიტას ეკლესიასთან.1910 წ. დ.ერმაკოვი. ე.თაყაიშვილი

კოშკი გახლავთ ტიტულის მაჩვენებელი. მხოლოდ ფუსტის რაინდს ჰქონდა უფლება, კოშკი აეშენებინა. ქართლში გახლავთ სოფელი წინარეხი, სადაც პაპუნა მაღალაიძის კოშკი მდებარეობს. ის აგებულია 1976 წელს და ზუსტად სვანური კოშკის ასლი გახლავთ. პაპუნა გახლდათ სვეტიცხოვლის სახლთუხუცესი, ანუ ფუსტის არდის უფროსი მცველი. კოშკი აიგო, როგორც ამ ტიტულის მატარებელმა რაინდმა.

ბევრი სასწაული მომხდარა სვანეთის (და არა მარტო სვანეთის) ტაძრებში. ღვთის განგება დიდია და უფალი ძლიერი. არც ისე დიდი ხნის წინ, მე-20 საუკუნის ბოლოს, სვანეთში კვირიკეს ტაძრიდან ხატები მოიპარეს. როდესაც ქურდები ტაძრიდან გამოვიდნენ, ნისლი ჩამოწვა. მათ იარეს, იარეს და ბოლოს ისევ ეკლესიის კართან მივიდნენ. ქურდები ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ და წარმოუდგენელია, რომ გზა არეოდათ და აღმართ-დაღმართი ვერ გაერჩიათ, მაგრამ დაღმართზე ჩამოსვლის მაგივრად ისევ აღმართზე იარეს.

უფალმა ისე აურია მათ გონება, რომ მოპარული სიწმინდეებიანად ისევ ეკლესიაში დაბრუნდნენ.

გენები, რომლებიც კიბოს განვითარებასთან არიან დაკავშირებული

ახალი კვლევის თანახმად, მეცნიერებმა ასობით გენი აღმოაჩინეს, რომლებიც პოტენციურად კიბოს იწვევს.

კიბო, როგორც წესი, გენეტიკურ კოდში გარკვეული ცვლილებებით ჩნდება. ეს უჯრედებს მის მართვაში უშლის ხელს. ამ შეფერხებების აღმოფხვრამ შეიძლება თავიდან აიცილოს სიმსივნის გავრცელება.

დღეისთვის ცნობილია 600-ზე მეტი გენი, რომელიც კიბოს იწვევს. ეს მაშინ ხდება, როდესაც მათი თანმიმდევრობა მუტაციისას ზიანდება. თუმცა, კიბო შეიძლება სხვა გზებითაც განვითარდეს.

წინა კვლევებისას თავად დნმ-ის თანდაყოლილი ანომალიები შეისწავლეს, თუმცა ამჯერად, უშუალოდ იმ ანომალიებს დააკვირდნენ, რომლებიც დნმ-იდან ინსტრუქციების გადაცემისას წარმოიქმნება.

ესპანეთში, ბარსელონას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (**BIST**) მკვლევრებმა გამოიყენეს ალგორითმები, რათა გამოევლინათ შეცდომები გენეტიკურ კოდში. ეს შეცდომები დაკავშირებულია ეგზონებთან: გენეტიკური მიმდევრობის ნაწილებთან, რომლებიც პირდაპირ ითარგმნება ცილებად.

მკვლევრებმა ალგორითმები იმ 813 გენის დასადგენად გამოიყენეს, რომლებიც შერწყმისას კიბოს გაჩენას უწყობს ხელს. შედეგად შეადგინეს კიბოს „წამახალისებელი“ გენების სია, რომელიც აქამდე უკვე ცნობილ 626 გენს ეფუძნება.

„ეს არ არის კლასიკური ონკოგენები, არამედ წარმოადგენს კიბოს პოტენციურად წარმომქმნელ სრულიად ახალ კლასს“, – აღნიშნულია კვლევაში.

მკვლევრებს ახლა იმის თქმაც შეუძლიათ, თუ რომელი გენი უფრო სახიფათოა და რომელი უფრო უწყობს ხელს კიბოს განვითარებას.

მეცნიერები ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელებას გეგმავენ. კვლევა ჟურნალ **Nature Communications**-ში გამოქვეყნდა.

მარნის განახლებული კულტურის სახლი რეგიონის მშვენებაა!



საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობით, აბაშის მუნიციპალიტეტში სოფელ მარნის კულტურის სახლის მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

ახლად რეაბილიტირებული კულტურის სახლი ამ დღეებში საზეიმოდ გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე მაკა გურგენიძე დაესწრო.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან მგალობლიშვილი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე მიხეილ დუნდუა, საქართველოს პარლამენტის წევრი ბეჟან წაქაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ვიბლიანი, აბაშის მუნიციპალიტეტის მერი გიგა გაბელაია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეები: ნინო გულოშვილი, ლადო გაბოძე, პაატა გაფრინდაშვილი, ასევე – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს არქიტექტორები და სხვა მიწვეული სტუმრები.

კულტურის სახლის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აბაშის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ჰარირამ“ და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აბაშის საოლტბარო სკოლის მოსწავლეებმა.

„კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები სამ ეტაპად ჩატარდა და განხორციელდა შენობის როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერის სრული რეაბილიტაცია ყველა თანამედროვე სტანდარტის გათვალისწინებით, კერძოდ: მოეწყო ახალი გადახურვა, სცენა ახალი განათება-გახმოვანების სისტემებით, აღდგა შენობის ისტორიული იერსახე, შენარჩუნდა შენობის ექსტერიერსა და ინტერიერში შემორჩენილი თითოეული არქიტექტურული თუ მხატვრული ელემენტი.

აღსანიშნავია, რომ კულტურის სამინისტროს ინიციატივით მარნის კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროექტი 2021 წლის დეკემბერში შემუშავდა და შემდეგ ეტაპობრივად დაიწყო რეაბილიტაციის სამუშაოები. ტენდერი სსიპ-მა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გამოაცხადა, ხოლო სამუშაოები შპს „იუკონი და კომპანიამ“ შეასრულა.

რეაბილიტაციის სრული ღირებულებაა 4 466 815 ლარი.

ახლად რეაბილიტირებული კულტურის სახლი თანამედროვე სტანდარტის მულტიკულტურულ ცენტრად იქცევა და რეგიონის არაერთ მნიშვნელოვან და საინტერესო კულტურულ პროექტს უმასპინძლებს. ამ გამორჩეულ შენობას 2016 წელს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ის იტალიელმა არქიტექტორებმა ააგეს“...

ქალაქ ფოთს ახალი რეკრეაციული სივრცე შეემატება

ფოთში ნიკოლაძის სანაპიროს კეთილმოწყობა დაიწყო, სადაც სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე სივრცეები შეიქმნება: სპორტული, საბავშვო და საზოგადოებრივი ზონები. ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, მცირე ზომის ამფითეატრი, მინი სპორტული მოედნები, შადრევანი, გამწვანებული სარეკრეაციო ზონები და მემორიალის დეკორატიული კედელი. დაგეგმილია მდინარეზე არსებული პირსის რეაბილიტაცია.

ნიკოლაძის სანაპიროს კეთილმოწყობისთვის ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია და შემდეგი კვირიდან დაიწყება აქტიური სამუშაო პროცესი.

პროექტის ღირებულება 4 934 600 ლარია და იგი სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.



„კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ფოთის, ხობის და სენაკის დელეგატს პარლამენტში გიორგი ხახუბიას და ჩვენს პოლიტიკურ გუნდს ადგილობრივი საკონტეინერო მოსაკრებლის კანონის მხარდაჭერისთვის. სწორედ ამ მოსაკრებლიდან მიღებულმა შემოსავალმა მოგვცა საშუალება, განვახორციელოთ ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი — ნიკოლაძის სანაპიროს კეთილმოწყობა“, – განაცხადა ფოთის მერმა **ბექა ვაჭარაძემ.**

◎ პოლიტიკა და სარბიელი

ნოკაუტში — მე-9-ედ!

ვის არ შეგვცოდებია რამაზ გიორგობიანის პერსონაჟი უკვდავი „სერენადიდან“, რომელსაც რუსის ბარაბანივით უბრახუნებს მთელი ფილმის განმავლობაში ზოზო ბაქრაძის გოლიათი ტელესახე. კიდევ უფრო მკვახედაც შეგვიძლია დავსვათ კითხვა – რამდენჯერ უნდა დაორსულდეს მავანი, რომ აღიაროს – ქალიშვილი აღარ ვარო?

დაახლოებით ასეა უსამშობლო აგენტურის საქმე, რომელიც უკვე მეცხრედ დაანოკაუტა ქართველი ხალხის რჩეულმა მმართველმა პარტიამ მთელი თავისი დანაყოფ-განაყოფებით, ენჯოსექტორით, მედიითა თუ უცხოელი შემკვეთპატრონებით, მაგრამ, როგორც სჩვევია, იხტიბარს არ იტეხს, ეგზიტპოლისა და უამრავი საერთაშორისო დამკვირვებლის მოწონებულ საარჩევნო პროცესს იგნორირებას უკეთებს და ცესკოს დადებული ციფრების არაღიარების პარალელურად ქუჩის პროტესტის ასაგორებლად ემზადება.

ხომ ნაცნობი ფირფიტაა?

და როგორ მოიქცა ქრონიკული დამარცხებების სიმბოლო ოპოზიცია, რომელიც კვლავაც ბოღმის თაიგულად რჩება და გამარჯვებულისადმი მილოცვის ნაცვლად, როგორც ამას ვითომ მათთვის მისაღები ცივილურ-დასავლური ტრადიცია მოითხოვს, გულის მოსაფხანად საშემოდგომო დესტაბილიზაციას აანონსებს?

არაფერი ახალი – ადგა და, საბედისწერო 2008-ის წაგებული ომის მსგავსად, არარსებული ტრიუმფის ზეიმი დაიწყო. მე თქვენ გეტყვით, გაუჭირდებოდა – შავის თეთრად წარმოჩენა ხომ მისი სადარბაზო ბარათია.

და ეს მაშინ, როცა მეორეადგილოსანმა ცვლილებების ფსევდო მომხრე გვარამიას ხროვამ ქართულ ოცნებასთან შედარებით თითქმის ხუთჯერ ნაკლები ხმათა რაოდენობა მოაგროვა.

კიდევ უფრო სავალალოა უშუალოდ სააკოვის იდეური შიგთავსის – ერთიანობად გარდასახულ-შემოსაღებული ნაციონალური მოძრაობის შედეგი, რომელმაც წამყვანი პროვოკატორის პოზიცია დაკარგა და ამრევთა უძაღლო თანავარსკვლავედში მესამე ადგილამდე დაეშვა.

ისე, მთლად საპანაშვიდოდ აქვთო საქმე, ვერც ამას იტყვის კაცი, რადგან, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის გუნდი საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერ მოიპოვებს, ეს კი პრეზიდენტის იმპიჩმენტსა და ყოფილი ფაშისტური რეჟიმის აკრძალვას ავტომატურად გამორიცხავს.

ამ ფონზე კვლავ გვახარებენ ქართველი სპორტსმენები, გამორჩეულად **ილია თოფურია,** რომელმაც **UFC**-ის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. რაც შეეხება ფეხბურთს, აღსანიშნავია **ზურიკო დავითაშვილის** დუბლი, **გუდუ ზივზივაძის** გოლი, **ოთარ კაკაბაძის** ასისტი და **ლუკა გუგეშაშვილის** მშრალი თამაში.

◎ მოვლენის შემდეგ

ილია თოფურია: რაც მოხდა, ხშირად ვერ ნახავ...

როგორც ამავე გვერდის წერილიდან უკვე გაუწყეთ, ილია თოფურიამ მაქს ჰოლოვეი ნოკაუტით დაამარცხა და UFC-ის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. ბრძოლის შემდეგ ქართველმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

„გულწრფელად, არ ვიცი, რა ვთქვა. მაქს ჰოლოვეის მსგავსი ლეგენდის დამარცხება არის ის, რისი დაჯერებაც მიჭირს. ის ჩემს კარიერაში ინსპირაცია იყო, შესანიშნავი მაგალითია ახალი თაობისთვის. ყოველთვის ვამბობდი, რომ მე ახალ თაობას წარმოვადგენ. ვიმედოვნებ, რომ ვიქნები მაგალითის მცირე ნაწილის მიმცემი მაინც ახალი თაობისთვის, როგორც ჩემთვის მაქსი იყო, რომელიც ნამდვილი კაცია.

ბევრი დარტყმა მივაყენე, რის შემდეგაც მან ნაბიჯების უკან გადადგმა დაიწყო. ამას მაქს ჰოლოვეისგან ხშირად ვერ ნახავ. დავინახე სახეზე და ვგრძნობდი, რომ ნოკაუტით მოგება შემეძლო. ჩემმა ძმამ დამიძახა, რომ გამეგრძელებინა ზეწოლა და ასეც მოვიქეცი. შედეგად, ნოკაუტიც მოვიდა.

ახლა არავისთან ჩხუბი არ მინდა, მაგრამ ალექსანდრ ვოლკანოვსკიმ ტიტული შვიდჯერ დაიცვა და თუ ვინმე ამას იმსახურებს, სწორედ ის იმსახურებს. ლამაზი ოჯახი მყავს და დალოცვილი კაცი ვარ. მინდა, ოქტაგონიდან გავიდე და გამარჯვება ჩემს ხალხთან ერთად ვიზეიმო“, – თქვა ილიამ.

შეგახსენებთ, რომ ილია თოფურია **UFC**-ში პირველი ქართველი ჩემპიონია და შესაბამისად, პირველია, ვინც ქამარი დაიცვა, თანაც – ოქტაგონზე ჯერაც დაუმარცხებელი 16 ბრძოლაში!

◎ ოვალური ბურთი

ახალგაზრდა ქართველი მსაჯი საბა მახარაძე საერთაშორისო რაგბიში მორიგ ნაბიჯებს დგამს. 23 წლის რეფერი რაგბი ევროპამ 18 და 20-წლამდელთა ჩემპიონატებზე მიიწვია, რომელსაც 16-იდან 24 ნოემბრის ჩათვლით ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა უმასპინძლებს.

მახარაძეს საერთაშორისო თამაშებზე აქამდეც არაერთხელ უმუშავია. ის ქართული ბრიგადების შემადგენლობაში კიდის არბიტრი იყო რაგბი ევროპის ჩემპიონატისა და სუპერ თასის შეხვედრებში, თუმცა მოედნის მსაჯი ჯერ არ ყოფილა.

მოედნის რეფერის რანგში საბას დებიუტი გაზაფხულზე, იტალიაში გამართულ 18-წლამდელთა ექვსი ერის ფესტივალზე შედგა, ახლა კი რაგბი ევროპამ ერთბაშად ორ ასაკობრივ ტურნირზე მიიწვია.

„ექვსი ერის ფესტივალზე ძალიან კარგი შეფასება მივიღე, რის შემდეგაც რაგბი ევროპის სტრუქტურაში მთავარ მსაჯად დანიშვნის რეკომენდაცია გაიცა. თავდაპირველი აღტაცებისა და სიხარულის შემდეგ, დავიწყე მზადება როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური კუთხით. მოგეხსენებათ, ასაკობრივი ტურნირები კაცთა თამაშებისგან განსხვავებული წესებით ტარდება და ამაზე ცალკე მიწევს მუშაობა. გარდა ამისა, მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი წესების დანერგვა და ჩეხეთში ამ კუთხითაც იქნება სიახლეები“ – ამბობს საბა მახარაძე და განაგრძობს:

„იტალიაში ფესტივალი იყო, ახლა კი ჩემპიონატს ვმსაჯობ და ემოციური ფონი და დაძაბულობა გამძაფრებული იქნება. გარშემო მყოფთა დამსახურებით (დავით შუბითიძე, ლუკა კილასონია, დევიდ მაკქიუ) ვპროგრესირებ და ეს დანიშვნა შესანიშნავი პლაცდარმი იქნება ახალ საფეხურზე გადასასვლელად. რთული პერიოდი მელის, რადგან ორივე ტურნირზე ერთად, 6 სათამაშო დღე გველის დღეში 4 შეხვედრით. ჩემი მიზანი მაღალი დონის თამაშების ჩატარებაა, რაც ახალი კარების გახსნაში დამეხმარება“.

18 და 20-წლამდელთა ჩემპიონატები ფლეი ოფის სისტემით იმართება. 8-8 გუნდი პირველ ეტაპზე 1/4-ფინალებს ითამაშებენ, გამარჯვებულები თასის ნახევარფინალში გავლენ (დამარცხებულები მე-5 ადგილის), 23-24 ნოემბერს კი ფინალები და სარეიტინგო თამაშები გაიმართება.

◎ ტრიუმფი

როგორც ყოველთვის

ვარშავაში მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაციის ორგანიზებით (WUKF) გაიმართა XIV ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 30 ქვეყნის 2000-მდე სპორტსმენს შორის საქართველოდან 23-კაციანი დელეგაცია მონაწილეობდა. კონიტინენტის პირველობაზე ქართველმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და ჯამში 10 ჯილდო – 5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

I ადგილი და ოქროს მედლები მოიხვეჭეს: **ლუკა შანთაძემ** – 20 წლამდე ახალგაზრდებს შორის ინდივიდუალურ კუმიტეში -75 კგ წონით კატეგორიაში; **მერაბ ლომაძემ** – 20 წლამდე ახალგაზრდებს შორის ინდივიდუალურ კუმიტეში -70 კგ წონით კატეგორიაში; **ანდრეა ონიანმა** – 10-11 წლიანებს შორის -42კგ წონით კატეგორიაში; **ლუკა ხვედელიანმა** – უფროსებს შორის 65 კგ-მდე წონით კატეგორიაში; **ალექსანდრე შამუგიამ** – პარა ინდივიდუალურ კატაში.

II ადგილი და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს: **ჯაგუპა მახარაძემ** – უფროსებს შორის ინდივიდუალურ კატაში; **ტარიელ სამხარაძემ** – ინდივიდუალურ კუმიტეში + 85 კგ წონით კატეგორიაში; **თამარ ცინცაგაძემ** 10-11–წლიანებს შორის -35 კგ წონით კატეგორიაში; **საბა სურმანიძემ** – 20 წლამდე ახალგაზრდებს შორის -65 კგ წონით კატეგორიაში.

III ადგილი და ბრინჯაოს მედალი ერგო **თათია ფუტკარაძეს** 12-13-წლიანებს შორის -42 კგ წინით კატეგორიაში; ასევე ბრინჯაოს მედლები გუნდური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მოიპოვეს ლუკა ხვედელიანმა, ტატო სამხარაძემ და დავით გულოიანმა.

ჯაგუპა მახარაძე, შოტოკან კარატე დოს მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი: მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაციის ორგანიზებით (**WUKF**) გამართულ, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატებსა თუ საერთაშორისო ტურნირებზე 2009 წლიდან სტაბილურად წარმატებით გამოვდივარ და მოპოვებული მაქვს ყველა სინჯის 100-ზე მეტი მედალი. მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაციის პრეზიდენტია X დანის მფლობელი ლივიუ კრისანი, რომელსაც დღეს კარატეში დიდი გავლენა და ავტორიტეტი აქვს მსოფლიო მასშტაბით. ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და წლების განმავლობაში სტაბილურად მყარი მეგობრული ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა.

ამჯერად პოლონეთის დედაქალაქში **WUKF**-ის ორგანიზებითა და წესებით ევროპის ჩემპიონატი ძალიან მაღალ დონეზე გაიმართა. ვარშავის სპორტულ არენაზე 5 დღის მანძილზე, ერთდროულად 8 ტატამზე მიმდინარეობდა ბრძოლები და გულშემატკივრებს ისინი ონლაინ პირდაპირი ეთერის საშუალებითაც შეეძლოთ ენახათ. როგორც ყოველთვის, წელსაც კონკურენცია კატასა და კუმიტეს კატეგორიებში იყო ძალიან მაღალი. მე უფროსებს შორის კატების კატეგორიაში წარმატებით ვიასპარეზე, და მაღალი ქულათა ჯამით 4 წრე გავიარე. ფინალში 6 საუკეთესო სპორტსმენს შორის ადგილები ასე განაწილდა: I ადგილზე გავიდა რომან კრაცკი (ჩეხეთი), II ადგილზე მე გავედი, III ადგილზე კი სლავა მარტინი (იტალია). მაღალ დონეზე იასპარეზეს ჩვენი ნაკრების სპორტსმენებმა და ჯამში 10 მედალი წამოვიღეთ, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად სოლიდური და მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

შარშან **WUKF**-ის ორგანიზებით საფრანგეთის ქალაქ ანტიბში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გუნდურ კუმიტეში პირველი ადგილი დაიკავა. ჩემთან ერთად გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ლუკა ხვედელიანი, ტატო სამხარაძე და ავთო გიუნაშვილი. სწორედ შარშან ზედიზედ დავამარცხეთ იტალიის, რუმინეთის და ინგლისის ნაკრებები და ოქროს მედლები მოვიპოვეთ. მინდა გითხრათ, რომ გუნდური კუმიტეს მოგება ითვლება ყველაზე რთულ კატეგორიად და შესაბამისად, ნაკრებისთვის ეს გამარჯვება ძალიან დიდი მიღწევა და უპირატესობაა.

ჩემს საერთაშორისო სპორტულ კარიერაში დიდი ხანია მივეჩვიე კვარცხლბეკზე დგომას, 2022 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ჩემთვის, რადგან ტოკიოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კატასა და კუმიტეს დისციპლინებში 2 ოქროს მედალი მოვიპოვე და მეოთხედ გავხდი მსოფლიო ჩემპიონი. ვარ ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, საერთაშორისო ლიცენზირებული ინსტრუქტორი, შავი ქამრის V დანის მფლობელი. საერთაშორისო ტურნირებზე 1998 წლიდან რეგულარულად წარმატებით ვასპარეზობ და ყოველთვის ვცდილობ, რომ ღირსეულად წარვადგინო ჩვენი ქვეყანა, რაც დიდი პასუხისმგებლობაა და ასევე დიდი მოტივაცია. ყოველთვის მახარებს, როცა კვარცხლბეკზე ვდგავარ და საქართველოს დროშა ფრიალებს.

გარდა ამისა, უკვე 20 წელზე მეტია ჩემი კარატეს კლუბები და დარბაზები მაქვს შექმნილი, სადაც ყველა ასაკობრივ ჯგუფებს ვავარჯიშებ კარატეში.

არდავიწყება

გოჩა ჩიტაიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესორ გოჩა ჩიტაიშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, საუნივერსიტეტო საზოგადოების სახელით, მკვლევრისა და პედაგოგის გოჩა ჩიტაიშვილის გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებს ჩიტაიშვილის ოჯახს, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტსა და საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ავრცელებს.

67 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი გოჩა ჩიტაიშვილი. მკვლევარი, პედაგოგი, რომელმაც მრავალი წარმატებული და მაღალკვალიფიციური კადრი აღზარდა.

გოჩა ჩიტაიშვილს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ნაყოფიერი 40 წელი აკავშირებს და ამ ხნის მანძილზე მან საუნივერსიტეტო საზოგადოებას და სტუდენტებს თავი დაამახსოვრა როგორც მაღალკვალიფიციურმა, დიდბუნებოვანმა კოლეგამ და შესანიშნავმა პედაგოგმა.

სამძიმარს ვუცხადებთ ჩიტაიშვილების ოჯახს, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტსა და საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტს, მის მეგობრებს, კოლეგებს და აღზრდილებს“, - აღნიშნულია რექტორის დავით გურგენიძის სამძიმრის წერილში.

გოჩა ჩიტაიშვილი დაიბადა 1956 წ. 27 აგვისტოს, თბილისში. 1973-1978 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღების სპეციალობაზე და მიენიჭა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია.

1984 წლიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტზე და ეკავა ასოცირებული პროფესორის თანამდებობა. წლების განმავლობაში იყო მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრის გამგის მოადგილე, ასევე იყო საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2014 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე სივრცითი გეომეტრიული ამოცანების გადაწყვეტა **AutoCAD**-ის უახლესი ვერსიის გამოყენებით.

იყო მრავალი სახელმძღვანელოს, მეთოდიკური მითითებების, სამეცნიერო სტატიის და მონოგრაფიის ავტორი.

რატომ მივეცი ხმა „ქართულ ოცნებას“?

მე როგორც ერთმა რიგითმა ამომრჩეველმა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ხმა მივეცი დედოფლისწყაროში „ქართულ ოცნებას“.

გულს მიხარებდა ბანერებზე განთავსებული მათი სლოგანი: ჩვენი ერთადერთი გზა არის მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ!

ვეთაყვანები ჩვენი მთავრობის ლიდერებს: **ირაკლი ღარიბაშვილს, ირაკლი კობახიძეს, ირაკლი ქადაგიშვილს, კახა კალაძეს, მამუკა მდინარაძეს, შალვა პაპუაშვილს...**

ჩემს უსაყვარლეს ადამიანს „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს **ბიძინა ივანიშვილს,** იმიტომ რომ მათი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში უწყვეტი მშვიდობა შეგვინარჩუნეს და არ დაუშვეს ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება.

ნანა ჭიჭინაძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

უძლურნი და საცოდავნი

ვერა და ვერ დავაჭაშნიკეთ თავისუფლების ნამდვილი გემო. არადა, ღვთის მიერ შექმნილ ცისქვეშეთში ამ დიდებული მცნების მსგავსი არა არსებობს რა. გავიხსენოთ ცხოვრების უდიდესი წიგნის მიბლიის, ძველი აღთქმის ის თავი, სადაც აღწერილია მოსეს მიერ ეგვიპტიდან წამოყვანილი ხალხის ორმოცწლიანი ხეტიალი, სანამ აღთქმულ მიწაზე ჩაიყვანდა. ჭეშმარიტად დიდი გონების პატრონი მრძანდებოდა მოსე წინასწარმეტყველი, ვინაიდან განსაზღვრა მონობაში დაბადებულთა მანკიერება თავისუფლების გააზრებაში. მისი აზრით, მონობაში შობილი თავისუფლებას მოლომდე ვერ გაითავისებდა.

და აი, მივადექით ჩვენთვის საინტერესო საკითხს. შევიმეცნეთ ჩვენ, ან შევიგრძნეთ დიდი მონსტრის ჩამოქცევის შედეგად მიღებული თავისუფლება?

ვერა, ვერ დავაგემოვნეთ, ვერაფერი გავუგეთ! უმადურად მოვისროლეთ პირველი პრეზიდენტი. არ მოვეშვით, სანამ არ მოვაშთეთ. ცნობილია შემდგომი ნაბიჯებიც, რომლებიც თითქმის დღევანდლამდე უამური და შემზარავია.

განვიხილოთ უბრალო, რიგითი ცხოვრებისეული საკითხები. ვთქვათ და, სცალია ჩვენს დეპუტატს ჩვენი საჭიროებისათვის? გაგვიწევს რაიმე დახმარებას თვითონ უძლური და გასაცოდავებული?

რას წარმოადგენს აღგილობრივი მმართველი, ყველანაირი რესურსის არმქონე, თანხობრივი იქნება ის თუ უფლებრივი. სამართლიანობის დაცვაში თუ შეუძლია შემოგიდგეს მხარში, მას ხომ ლაპარაკიც კი უჭირს თავის ზემდგომთან. გამოდგება ასეთი პიროვნება რიგითი მცხოვრების დამცველად? მას ხომ მონასავით ექცევა თავისი ზემდგომი.

შესაძლოა, ამ გამოთქმაში არ დამეთანხმოს თავმოყვარეობაშებღალული ჩინოსანი, მაგრამ ჩაიხედოს საკუთარ გულში და მიხვდება, რომ იგი ჩვეულებრივი უუფლებოა, უძლური და საცოდავი. თანხობრივად კი, ზედმეტია იმის თქმა, რომ დაგეხმაროს, მას ხომ ერთი თეთრიც არ გააჩნია საამისოდ.

და, ყველაზე საშიში და ყველაზე ცუდი, რაც ჩვენს დღევანდელობასა და მის მონაპოვარს ახასიათებს. სადღაც, ცხრაკლიტულში გამოკეტილი ნინიკო, ლიზიკო თუ თინიკო კარგა გვარიანი ლოდინის შემდეგ ტელეფონის ზარზე (მხედველობაში მაქვს დიდი უწყებების, სამინისტროების თუ დაწესებულებების ეგრეთწოდებული ოფისების ცხელი ხაზები), როგორც ვთქვით, დაიღლებით ლოდინით, დაიღლები მონოტორული მუსიკის მოსმენით, რომელიც დრო და დრო წყდება გამხნევებით – მომლოდინეთა შორის თქვენ ბრძანდებით მე-18, მე-16, მე-13 და ა. შ., ამასობაში 20-30 წუთი შემოგადნებათ ხელში და ნინიკოს მიმქრალი ხმა: ნინიკო გისმენთ.

ნინიკოს გააცნობთ თუ არა თქვენს გასაჭირს, იქვე დარწმუნდებით, რომ ნინიკო უძლურია, თქვენ დაგეხმაროთ, რადგან მას არ შეუძლია ვინმესთან შეგაერთოთ, მას არ შეუძლია ვინმეს ტელეფონის ნომერი მოგცეთ. ერთი სიტყვით, ნინიკო თუ ლიზიკო თავის მოკრძალებულ ხელფასს ამართლებს.

მშრალი ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, ცოტა ფაქტებსაც შევეხოთ. სცადეთ და დაურეკეთ ცხრაკლიტულში მჯდომ თიკოს ან ნიკოს, მაგალითად სავაჭრო გაერთიანება „მაგნიტში“, ან თავისი ქველმოქმედებით განთქმულ „პეპსიკოლას“ სათაო ოფისშიც კი, ან რომელიმე სხვა დიდ უწყებასა თუ დაწესებულებაში. ასეთი მაგალითების მოყვანა იმდენი შეიძლება, რამდენი სათაო ოფისიც გააჩნია საქართველოში არსებულ დიდ დაწესებულებებს, სამინისტროების ჩათვლით.

მდგომარეობა მაიძულებს ისტორიას გადავხედო. ზუსტად, 100 წლის წინ კომუნისტებმა რევოლუცია რომ მოაწყვეს, ურა-ბოლშევიკებმა რკინიგზის აყრის წინადადება შემოიტანეს, რადგან, მათი აზრით, ბოლშევიკებს მეფის მიერ გაყვანილ რკინიგზაზე მსვლელობა არ ეკადრებოდათ.

რისი თქმა მინდა ამით, კარგი მტრისაც რომ იყოს, უნდა გადმოიღო, რა შუაშია პოზიცია და ოპოზიცია. „ღიადობისა“ და „წვდომადობის“ თვალსაზრისით პოზიციაზე უარეს მდგომარეობაშია ოპოზიციური პრესა და ტელევიზია. მაგალითად, პოლიტიკური არხებიდან ვერცერთს გაეკარები და ტყუილად არ შეცდეთ, და არ დარეკოთ მათ ოფისებში. ისინი არავითარ ცნობას არ მოგცემენ მათი უფროსების სატელეფონო კავშირების შესახებ.

რა გამოდის? დავამხეთ ტირანია და ავაღორძინეთ ბიუროკრატიზმი.

საბჭოეთის დაბრუნების მოსურნედ თუ არ ჩამთვლით, სანატრელია დიდი ორგანიზაციების მესვეურთა მიღების დღეები და საათები.

დიახ, ვერა და ვერ შევიმეცნეთ თავისუფლება, ვერა და ვერ შევირგეთ მისი გემო.

არადა, როგორც ამბობენ, თავისუფლება, მართლაც დიდებული რამ ყოფილა.

შეგერგოთ!

დავით ასკურავა,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

განცხადება

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2023 წლის 6 დეკემბერს გარდაცვლილი მოქალაქე ვლადიმერ დიმიტრის ძე შინკოს (დაბადებული 1920 წელს, გარდაცვალების მოწმობა N77247005804) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმში, წერეთლის ქუჩა N24-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებით) 23/226 ნაწილის უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფო სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა N10, ბინა 28.

მოკეტეთ, მოძალადეებო!

კოალიცია „ცვლილებებისთვის“ ლიდერებმა მრიფინგი გამართეს, სადაც განაცხადეს, რომ მანდატებზე უარს ამბობენ. საპარლამენტო მანდატებზე უარს ამბობს სიის ოცეული.

„ჩვენ საკუთარ საპარლამენტო მანდატებზე ვამბობთ უარს. მე, ნანა მალაშხია, სიის პირველი ნომერი, პოლიტიკაში შემოვედი იდეებისთვის და ამ ქვეყნის ინტერესების დასაცავად, ამიტომ მე დღეს ვამბობ უარს ჩემს საპარლამენტო მანდატზე“, - განაცხადა კოალიცია „ცვლილებებისთვის“ წევრმა ნანა მალაშხიამ.

კოალიციის ლიდერების გადაწყვეტილებით, გეგმა არის სრულმასშტაბიანი დაუმორჩილებლობა.

✦ ✦ ✦

გახსოვთ, ჩვენ ვიყავით პირველი, ვინც გავაკეთეთ განცხადება, რომ გუშინდელი ისტორიული არჩევნები მოიპარა ივანიშვილმა. ეს არის ქართველი ხალხის ნების ტოტალური უგულებელყოფა. ადგილი ჰქონდა რეალურად, რუსული ტიპის სპეცოპერაციას ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც აირჩია ევროპული მომავალი. ივანიშვილმა მიიტაცა ეს გამარჯვება. როდესაც ვთქვით, რომ არ ვაღიარებთ საარჩევნო შედეგს, ეს თავისთავად გულისხმობს, რომ არ ვაპირებთ პარლამენტში შესვლას. დარწმუნებული ვარ, აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებიც არ არსებობდა, როდესაც საუბარია ერთიანობა – ნაციონალურ მოძრაობაზე...

თინა ბოკუჩავა

„ადამისა და ევას დღიურები“ მოხეტიალე მთვარის თეატრში

მოხეტიალე მთვარის თეატრი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სხვენში წარმოადგენს ახალ სპექტაკლს „ადამისა და ევას დღიურები“.

სპექტაკლი, რომელიც კულტურისა და სპორტისა სამინისტროს, თბილისის მერიისა და მარჯანიშვილის თეატრის მხარდაჭერით შეიქმნა, მოგვითხრობს ადამისა და ევას ურთიერთობას ბავშვობიდან სიბერემდე. ცნობილი ამერიკელი მწერლის მარკ ტვენის ნოველების მიხედვით შექმნილი კომედიური სპექტაკლ-ექსპერიმენტით მსახიობები ეცდებიან, თქვენთან ერთად გაარკვიონ, როგორ იბადება და იცვლის სახეს ის გრძნობა, რომელსაც ჩვენ სიყვარულს ვუწოდებთ.

პიესის ავტორი, მუსიკალური გამფორმებელი და რეჟისორია ნიკა ლუარსაბიშვილი, სცენოგრაფი – ნინო კიტია, მსახიობები არჩილ სულაქველიძე და ანა ჯავახიშვილი არიან.

„ადამისა და ევას დღიურები“ არის კულტურის სამინისტროს კონკურსის „კერძო თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა“ ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტი.



ქუთაისი-პრაღის რეისის თვითმფრინავს მეხი დაეცა...

ქუთაისი-პრაღის რეისზე თვითმფრინავს ორჯერ მეხი დაეცა. შემთხვევის გამო ფრენა გაუქმდა და თვითმფრინავი ქუთაისის აეროპორტში დაბრუნდა.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, თვითმფრინავს მეხი აფრენიდან დაახლოებით ნახევარ საათში დაეცა. პილოტს საქართველოს საჰაერო სივრცე ჯერ დატოვებული არ ჰქონდა, ამიტომ უკან დაბრუნდა.

„მეხი დაგვეცა... ფრენიდან 20 წუთში. ტექნიკური დათვალიერების მიზნით დაბრუნდა ხომალდი ქუთაისის აეროპორტში და საბოლოოდ გაუქმდა ფრენა. არავინ დაშავებულა, თუ არ ჩავთვლით სტრესს და შიშს. მადლობა ხომალდის ეკიპაჟს. მადლობა მგზავრებს ძალიან გონივრული ქცევისთვის და პანიკისგან თავშეკავებისთვის....ჩვენ თვალწინ თვითმფრინავზე ცეცხლი აალდა და საშინელი გრუხუნი იყო. მადლობა უფალს ყველაფრისათვის....“, – იხსენებს ერთ-ერთი მგზავრი.

ლელა თათარაიძის საიუბილეო საღამო

რუსთაველის თეატრში თუშური მელოდიების გამორჩეული შემსრულებლის ლელა თათარაიძის საიუბილეო საღამო გაიმართა.

ცნობილ ხელოვანთან ერთად, საღამოს მონაწილეთა შორის იყვნენ ეთერ თათარაიძე, ვასილ კორნიენკო, დავით კენჭიაშვილი, ანსამბლები „კესანე“, „კელაპტარი“, გორის ქალთა გუნდი, „ერისიონი“, „ბასიანი“, „რუსთავი“, „ურსა“, „ძირიანი“, ფოლკლორის ცენტრის ახალი გუნდი, წალენჯიხისა და გორის სალოტბარო სკოლების მოსწავლეები.

ლელა თათარაიძეს იუბილე მოულოცა კულტურისა და სპორტის მინისტრმა თინათინ რუხაძემ. ღონისძიება კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მომზადდა.

ლელა თათარაიძე სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხალხურ საკრავთა სახელმწიფო ორკესტრისა და საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოკომიტეტის ფოლკლორულ ანსამბლ, „კელაპტრის“, სოლისტი. მან შექმნა ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი „კესანე“. არის მრავალი ცნობილი სიმღერისა და მუსიკალური თემის ავტორი.

თუშური სიმღერების განთქმულმა შემსრულებელმა დიდი დრო დაუთმო მშობლიური მხარის მელოდიების აღდგენა-შენარჩუნებას.

იყიდება ეგზიუპერის ხელით შესწორებული ნაბეჭდი ტექსტი

ლონდონის წიგნის მაღაზია მყიდველს სთავაზობს ფრანგი მწერლის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ მანქანაზე აკრეფილი, ავტორის მიერ ხელით გასწორებულ იშვიათ ეგზემპლარს.

პოპულარული რომანის ამ ეგზემპლარს 1,16 მილიონ ევროდ შესთავაზებენ მსურველებს აბუ დაბის ხელოვნების ბაზრობაზე.

ამის შესახებ ცნობა გაავრცელა წიგნის მაღაზია „პიტერ ჰარტინგტონმა, „რომელიც სკრიპტს აფასებს როგორც „იშვიათ და მნიშვნელოვან ლიტერატურულ განძს. “

ბრიტანელი წიგნით მოვაჭრე ასევე იტყობინება, რომ თითქმის ყველა გვერდზეა სენტ-ეგზიუპერის ხელით მიწერილი შენიშვნები. გარეკანს ეტყობა სიგარეტის ჩაქრობის კვალი.

„პიტერ ჰარტინგტონის“ თანახმად, ეს არის ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც ბაზარზეა. ორი სხვა ეგზემპლარი საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ტეხასში, ჰარი რენსომის ცენტში ინახება.

„პატარა უფლისწულის“ პირველ ნაბეჭდი გამოცემის ტექსტს არც ერთი ხელით აკრეფილი ეგზემპლარის ტექსტი არ ემთხვევა.

ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი (1900-1944) თავის წიგნში ყვება მეგობრობაზე პატარა უფლისწულსა და მფრინავს შორის, რომელიც იძულებით დაჯდა უდაბნოში. წიგნი მსოფლიო ბესტსელერი იყო და რჩება პოპულარულ რომანად, თარგმნილია ბევრ ენაზე, ასევე არაერთ დიალექტზე.



ჩარლზ III, რომელიც სიმსივნეს ებრძვის, საქმეზე უარს ამბობს!

ბრიტანეთის მეფე ჩარლზ III-მ, რომელიც სიმსივნეს ებრძვის, საკვების მიღება შეზღუდა. ამის შესახებ RadarOnline-ის პორტალი იტყობინება.

ამბობენ, რომ 78 წლის მეფემ თავისი კვების რაციონი მას შემდეგ შეცვალა, რაც მას კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. გამოცემას წყარო უყვება, რომ მეფემ უარი თქვა ლანჩზე და მის ნაცვლად ნახევარ ავოკადოს მიირთმევს.

წყაროს ცნობით, მეფის ამ გადაწყვეტილებით მისი ახლობლები შეშფოთებულები არიან.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: **ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულია** (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი **გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი**

მისამართი: თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა „ კოლორში“ ე. ბაღდავაძის №3

ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7198; ევრო - 2.9442;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5314;
100 რუბლი - 2.8191; თურქული ლირა - 0.0793;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5995;
1000 სომხური დრამი - 7.0188.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს